

# ხობის მოამბე


№1-2 (7071)
15 იანვარი, კვირა,
2012 წელი.
ფასი 1 ლარი.


## საქართველოს პრეზიდენტმა ქვეყნის მოსახლეობას ახალი წელი მიულოცა



მინდა მოგილოცოთ ახალი წელი.

უპირველეს ყოვლისა, ახალ წელს მივულოცავ მათ, ვისაც ყველაზე მეტად უჭირს საქართველოში. მათ, ვინც თუნდაც ბოლო დღეებში იბრძოდა იმისათვის, რომ საახალწლო სუფრაზე ნობათი მიეტანა. ვისთვისაც ის, თუ როგორ მოუაროს საკუთარ შვილებს, თუ როგორ გაუმკლავდნენ უმუშევრობასა და უსახსრობას, ყოველდღიური რეალობაა.

რა თქმა უნდა, ჩვენ ყოველდღიურად ვფიქრობთ ამ ხალხზე. მათ უნდა იცოდნენ, რომ ჩვენთვის, საქართველოს ხელისუფლებისთვის ყველაზე დიდი თანადგომის და ზრუნვის საგანი სწორედ ისინი არიან.

მინდა მივულოცო დამდეგი ახალი წელი საქართველოს ყველა მოქალაქეს, ჩვენს თანამემამულეებს, ყველას, ვინც საკუთარ თავს საქართველოს მეგობრად თვლის.

გასული წელი საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი წელიწადი იყო.

ძალიან ბევრი მიმართულებით სერიოზულ პროგრესს მივაღწიეთ.

საქართველოს ეკონომიკა უფრო ჩქარი ტემპით ვითარდებოდა, ვიდრე რეგიონის ქვეყნების უმეტესობაში.

ჩვენ ყველაფრის მიუხედავად ვაგრძელებდით რეფორმების განხორციელებას და თანაც ძალიან სწრაფი ტემპით.

2008 წელს მტერს მიწასთან გასწორებული ვეგონეთ, მაგრამ ბოლო წლებში მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეზე: უკრაინაში, შუა აზიაში, ჩვენ მეზობლებში და რუსეთშიც კი, მყარად დამკვიდრდა აზრი, რომ საქართველო აბსოლუტური ლიდერია რეფორმებისა და კორუფციასთან ბრძოლის თვალსაზრისით.

ჩვენ გვბაძავენ, გვეჯიბრებიან და ეს ძალიან მნიშვნელოვანი პასუხია იმ აგრესიაზე, რომელიც ჩვენ წინააღმდეგ განხორციელდა.

ჩვენ ვართ ქვეყანა, სადაც ყველაზე მარტივია ბიზნესის კეთება მთელ აღმოსავლეთ ევროპაში.

ჩვენ გვაქვს ყველაზე თანამედროვე საბაჟოები, ყველაზე თანამედროვე საგადასახადო სამსახური, ყველაზე წარმატებული, გამჭირვალე და ხალხისთვის მსახურობაზე ორიენტირებული ახალგაზრდული სახელმწიფო აპარატი.

ამით ძალიან ვამაყობ და მინდა, ამ სახელმწიფო აპარატის თითოეულ თანამშრომელს დამდეგი ახალი წელი მივულოცო.

იმის მიუხედავად, რომ ძალიან ბევრს არ სჯეროდა, ჩვენ გასულ წელს სერიოზულად წავიწიეთ წინ და ფრთები შევასხით იმ დიდ დაპირებას, რომ საქართველოში აშენებულიყო ათეულობით მსოფლიო დონის საავადმყოფო, რომელიც ხელმისაწვდომი იქნებოდა საქართველოს მოქალაქეების აბსოლუტურულ უმრავლესობისთვის. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან დიდი მიღწევაა.

მინდა გავიხსენო ის, რომ წელს პირველად ხელი მოვაწერეთ მოლაპარაკებების დაწყებას ევროკავშირთან თავისუფალ ვაჭრობის თაობაზე, გავამარტივეთ სავიზო რეჟიმი ევროკავშირთან და გადაწყდა, რომ დავიწყებთ მოლაპარაკებებს უვიზო მიმოსვლაზე.

რაც მთავარია, ევროკავშირში წელს პირველად ალაპარაკდა სერიოზულად ყველა, რომ შემდეგ წლებში საქართველო უნდა გახდეს ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი ქვეყანა.

ეს არის ნამდვილი გეოპოლიტიკური რევოლუცია.

ევროპარლამენტის რეზოლუციის მეშვეობით, ევროპულ სამართლებრივ ლექსიკონში მყარად დამკვიდრდა ტერმინები–ოკუპაცია და ეთნიკური წმენდა. პატარა ქვენისთვის ეს გარდაუვალი დეოკუპაციის და ჩვენი ქვეყნის საბოლოო გათავისუფლების ძალიან მნიშვნელოვანი გარანტიაა.

წელს მოხდა ძალიან ბევრი კონკრეტული ცვლილება ჩვენი მოქალაქეებისთვის. შარშან, თითქმის ყველგან ჩვენ შემოვიღეთ მანდატურის ინსტიტუტი და ნახეთ როგორ შეიცვალა სიტუაცია: ჩვენს სკოლებში 90 პროცენტით შემცირდა ძალადობა და ჩვენი ბავშვებისთვის სკოლები გახდა უსაფრთხო.

ღვედების შემოღებისა და იმ ცვლილებების შედეგად, რომლებიც საგზაო უსაფრთხოების თვალსაზრისით განხორციელდა, საქართველოს გზებზე მკვეთრად შემცირდა სიკვდილიანობა და გასულ წლებთან შედარებით, ბევრად მეტი, ასობით სიცოცხლე გადარჩა. ამით ძალიან კმაყოფილი ვარ.

გასულ წელს გაგრძელდა პენსიების ზრდა. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ჩვენს დაუცველ მოქალაქეებს ბევრად მეტი სჭირდებათ და, რა თქმა უნდა, ზრუნვა ჩვენს პენსიონერებზე არის ჩვენი მთავრობის ერთ-ერთი თუ არა, ყველაზე მთავარი პრიორიტეტი.

ჩვენ ვცხოვრობთ ძალიან დიდ ეპოქაში. სიმართლეა ის, რომ მიუხედავად გაჭირვებისა, მიუხედავად უამრავი პრობლემისა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ერთი მხრივ, დამპყრობელთან უწევს ბრძოლა, ხოლო მეორე მხრივ, ქვეყნის შენება, ბოლო რვა საუკუნის განმავლობაში, არც ერთ ეპოქაში საქართველოში ერთდროულად არ აშენებულა იმდენი, რამდენიც აშენდა ბოლო წლების განმავლობაში და, თუნდაც, 2011 წელს.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოში არასდროს არ ჩამოსულა იმდენი უცხოელი სტუმარი და ტურისტი, რამდენიც წელს ჩამოვიდა.

ჩვენს დედაქალაქში, თბილისში, არც ერთ ცალკე აღებულ ისტორიულ პერიოდში, მთელი მისი ისტორიის განმავლობაში არ აშენებულა იმდენი, რამდენიც ბოლო წლებში, მაგრამ ბევრად უფრო მეტი გეგმა გვაქვს. ეს შეეხება არა მხოლოდ თბილისს, არამედ საქართველოს უკლებლივ ყველა რაიონულ ცენტრს, ყველა ტურისტული მიზიდულობის ადგილს, ყველგან, სადაც საქართველო არ არის ოკუპირებული.

ამ ბრწყინვალებას ქმნის არა მთავრობა, ჩემო მეგობრებო, არამედ ჩვენ, თითოეული ჩვენგანი, ვინც შექმნა ეს კლიმატი - აღმშენებლობის, მომავალი დღის რწმენის, უსაზღვრო რწმენის იმისა, რომ საქართველო აუცილებლად გაძლიერდება, საქართველო აუცილებლად ბოლომდე გაიმართება წელში.

ჩემო ძვირფასებო, ჩემო თანამოქალაქენო, რა თქმა უნდა, მოსაყოლი და სასაუბრო ძალიან ბევრია, მაგრამ მინდა გავიხსენო როგორ ხვდებოდნენ და ულოცავდნენ ერთმანეთს ახალი წლის დადგომას. ამ დროს, ყოველი ახალი წლის წინ ძველი ებრაელები ერთმანეთს ასე ულოცავდნენ: „მომავალ წელს იერუსალიმში!“

მე აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ იმპერია გარდაუვლად დაეცემა, საქართველო საბოლოოდ განთავისუფლდება და მინდა დავამკვიდროთ ტრადიციად ის, რომ თითოეულმა ჩვენგანმა ერთმანეთს ასე მიულოცოს: „მომავალ წელს სოხუმში!“

გილოცავთ 2012 წელს.

## პატრიარქის საშობაო ეპისტოლე

**უწმინდესი და უნეტარესი! სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი! მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია □□**



***ყოვლად სამღვდელონო მღვდელმთავარნო, მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, ყოველნო სულიერნო შვილნო საქართველოს სამოციქულო ეკლესიისა, ღვთივკურთხეული ივერიის მკვიდრნო და ჩვენი სამშობლოს საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო!***

„ამპარტავანთა შემუსრავს ღმერთი,ხოლო მდაბალთ მოანიჭებს მადლს“ (I პეტრე 5.5)

მადლობა უფალს, რომ კვლავ გავხდით ღირსნი, მოგვესმინა ანგელოზთა საოცარი საგალობელი: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქუეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“ (ლუკა 2.14).

ყოვლადწმიდა სამების მოწყალებით „სიტყვა ხორციელ იქმნა და დაემკვიდრა ჩვენს შორის სავსე მადლითა და ჭეშმარიტებით“ (იოანე 1.14).

დიახ, „დღეს დავითის ქალაქში დაიბადა... მაცხოვარი, რომელიც არის ქრისტე უფალი“ (ლუკა 2.11) და უწოდებენ სახელად ემმანუელს, რაც თარგმანებით ნიშნავს: ჩვენთან არს ღმერთი“ (მათე 1.23).

გიხაროდეთ, ერნო, „რაც არ უხილავს თვალს, არ სმენია ყურს და არც კაცს გაუვლია გულში, ის განუმზადა ღმერთმა თავის მოყვარეთ“ (Iკორ.27.6).

მაშ, მივეახლოთ მას და თაყვანი ვსცეთ, ვითარცა მწყემსთა ბეთლემისათა და შევწიროთ ძვირფასი ძღვენი, ვითარცა მოგვთა აღმოსავლეთისათა.

იგი მოვიდა ამქვეყნად, რათა მოუხმოს თავის ცხოვართ და აზიაროს ისინი ჭეშმარიტ თავისუფლებასა და ბედნიერებას.

ვინ შეიძლება შემოგვთავაზოს უკეთესი არჩევანი? ანდა რა შეიძლება იყოს ამაზე მეტად სანუკვარი?!

მაგრამ ამას ბევრი ვერ ხვდება, არამედ მხოლოდ ისინი, რომელნიც სიცოცხლის აზრს სწორად აცნობიერებენ.

საერთოდ, ყოველი გონიერი ადამიანი ცდილობს, პასუხი გასცეს კითხვას,–რისთვის არის ამ ქვეყანაზე და რა უნდა აკეთოს? ეს კი ცხოვრების საზრისის, ანუ სამყაროში თავისი ადგილის პოვნას გულისხმობს. თუმცა არსებობენ ისეთნიც, რომელნიც ასეთ კითხვას მთელი ცხოვრების მანძილზე არ უსვამენ საკუთარ თავს და მიწიერ ყოფას უმიზნოდ და, შესაბამისად, უაზროდ ამთავრებენ.

საზოგადოების ნაწილი კი თავის მრწამსს, თავის დანიშნულებას საკუთარ წარმოდგენაზე, ან სხვადასხვა თეორიისა და რელიგიის სწავლების საფუძველზე აყალიბებს. მათი ქმედება, რა თქმა უნდა, მოტივირებულია და ხშირად წარმატებულიც ამ ქვეყანაზე, მაგრამ სულის ცხონება, რაც ყველაზე მთავარია და არსებითი, ამ გზით ვერ მიიღწევა.

ყველასგან განსხვავებულია ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე დაფუძნებული ცხოვრების საზრისი. მას შეიძლება „ქრისტესმიერი გონება“ ეწოდოს, რადგან იგი, პირველ რიგში, სულიწმიდის მადლმოსილებას გულისხმობს, შემდეგ კი ადამიანურ შესაძლებლობებს.

„ქრისტესმიერი გონის“ შესახებ შეიძლება ითქვას იგივე, რასაც წმიდა პავლე მოციქული ჭეშმარიტ სიყვარულზე წერს, რომ იგი არ ქედმაღლობს, არ ზვაობს, არ შურს, არ ეძებს თავისას, არ მრისხანებს, არ განიზრახავს ბოროტს, არ მოიწონებს უსამართლობას, არამედ ჭეშმარიტებით ხარობს, ყველაფერს იფარავს, ყველაფერი სწამს, ყველაფერს ითმენს, ყოველთვის იმედი აქვს.

ამ სულისკვეთებით ცხოვრობდნენ ჩვენი წინაპრები.

ქართული სულის ერთ-ერთი სახასიათო თვისება შოთა რუსთაველმა ასე გამოთქვა: „რასაცა გასცემ შენია, რას არა, დაკარგულია“.

ზოგიერთი ვერ ხვდება მის შინა არსს, რადგან, მიწიერი ლოგიკით, სხვისთვის მიცემული ნივთი თუ ქონება გამცემს აღარ ეკუთვნის და ეს ნათქვამი, ბუნებრივია, მისთვის გაუგებარია.

არადა, აღნიშნული აფორიზმი შეიცავს ღრმა ქრისტიანულ სწავლებას ადამიანის უკვდავების შესახებ.

მორწმუნეს სწამს, რომ მის მიერ აღსრულებული უანგარო ქველმოქმედება სათნოა ღვთისათვისაც და ადამიანისათვისაც. ამასთან, იცის, რომ რასაც გასცემს ამქვეყნიურ დროებით ყოფაში, მას მარადიულ ცხოვრებაში დაიუნჯებს და ეს არის მიზეზი მისი სულიერი სიხარულისა, ხოლო რასაც არ გასცემს, ბუნებრივია, ის მას მარადიულ ყოფაში მოაკლდება.

ამიტომაც, ქრისტიანული ტრადიციის მიხედვით, მიცვალებულის სულისთვის, ლოცვასთან ერთად, მის სახელზე მოწყალების გაღება აუცილებელია, რაც დიდად შეეწევა გარდაცვლილს.

სწორედ ასეთი აზროვნებიდან მომდინარეობს ქართველი კაცის სტუმართმოყვარეობა, ხელგაშლილობა, თანადგომისა და თავგანწირვის უნარი; ისიც, რომ იგი ყველაზე ძვირფასს, სიცოცხლეს, უშურველად წირავდა

>>>>>>>>2 - 3

## ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ძირითადი საფინანსო დოკუმენტი —

## ბ ი უ ჯ ე ტ ი

>>>>>>>>>>>>>>> 15-17

# პატრიარქის საშობაო ეპისტოლე

1 <<<<<<<<<<<

მოყვასისა თუ სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ეს დამოკიდებულება იმდენად შეისისხლხორცა ჩვენმა ერმა, რომ იგი მის განუყოფელ თვისებად იქცა.

„ხამს მოყვარე მოყვრისათვის, თავი ჭირსა არ დამრიდად, გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“,–საუკუნეებია შთამომავლებს დევიზად გადაეცემათ ეს სიტყვები.

> ***მადლი არ იყიდება და არც სხვა საშუალებით გადაეცემა. ნებისმიერმა ჩვენგანმა თვითონ უნდა ილვაწოს, იმდენი მადლი მოიპოვოს, რომ ცხონდეს. ამისთვის კი თავმდაბლობა უპირველესი პირობაა. უფალი ბრძანებს: „ამპარტავანთა შემუსრავს ღმერთი, ხოლო მდაბალთ მოანიჭებს მადლს“***

ასე იზრდებოდნენ თაობები; რა თქმა უნდა, მათ შორის მუდამ იყვნენ კარიერისა და პირადი კეთილდღეობის სურვილით საკუთარი მეობისა და ქვეყნის ინტერესების ნებაყოფილობით უარმყოფელნი და საზოგადოებისათვის ცუდი მაგალითის მიმცემნი, მაგრამ დღემდე სწორედ იმიტომ მოვაღწიეთ, რომ ქართველი ხალხის უდიდესი ნაწილი გაჰყვა არა მათ, არამედ ჩვენი ეროვნული მეობისა და სარწმუნოებისათვის თავდადებულებს.

ახლა დრო შეიცვალა, თუმცა ბრძოლა ისევ გრძელდება; განსხვავება კი იმაშია, რომ თუ ადრე დაპირისპირებული მხარეების საჯარისო ნაწილები ომობდნენ, ახლა ბრძოლა ადამიანის საზრისის, ანუ აზროვნების წესისთვის, მიმდინარეობს, რაც თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებით ხორციელდება;

ძირითადად ამ გზით ვრცელდება ფსევდოკულტურა და ანტირელიგიოურ ღირებულებათა სისტემები, რომელთა ქვაკუთხედსა და მთავარ მამოძრავებელ ძალას ეგოიზმი წარმოადგენს.

ეგოიზმის წინ წამოწევა კი ხელს უწყობს პიროვნებაში მომხმარებლური და მომხვეჭელური მისწრაფებების განვითარებას, რაც იწვევს საზოგადოების საერთო დეგრადაციას, ხოლო გარემოში–ეკოლოგიურ კატასტროფებს.

უარყოფითი საინფორმაციო ველი ყველაზე მეტად მომავალ თაობაზე მოქმედებს. ისინი ხომ ცხოვრების დიდ ნაწილს ტელევიზორთან და ინტერნეტთან ატარებენ და, ფაქტობრივად, არავინ არის მათი სწორად ფორმირებისათვის ხელისშემწყობი, რადგან სკოლაც და უმაღლესი სასწავლებელიც სათანადოდ ვეღარ ასრულებენ აღმზრდელობით ფუნქციას, არც მშობლებს სცალიათ შვილებისათვის; ეკლესიაც მასთან მისულთა მიმართ ძირითადად აღსარებითა და ზიარებით იფარგლება.

ეს ასე აღარ უნდა გაგრძელდეს და რეალური ნაბიჯები უნდა გადავდგათ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამისთვის კი არსებული ვითარება სწორად უნდა შევაფასოთ.

ფაქტია, რომ ელექტრონული მასმედიით, უარყოფითთან ერთად, ძალიან ბევრი საინტერესო ინფორმაციაც ვრცელდება ყველა სფეროში. ამაშია გლობალიზაციის ერთ-ერთი დადებითი მხარე და სწორედ ეს უნდა გამოვიყენოთ სათანადოდ.

ვფიქრობთ, ამიტომაც კარგად უნდა ავითვისოთ ახალი ტექნოლოგიები და მათი საშუალებითაც უნდა გავუჩინოთ ახალგაზრდებს ღრმა აზროვნების სურვილი, ავისა და კარგის გარჩევის უნარი, გავულვივოთ ინტერესი სხვადასხვა ქვეყნის ისტორიისა და კულტურისადმი, რათა დააფასონ სხვათა ღირსება და მათგან კეთილი შეითვისონ.

მაგრამ ყოველივე ამას შეძლებს მხოლოდ ის, ვისაც მყარად აქვს ჩამოყალიბებული ეროვნულ-ქრისტიანული საზრისი. ამისთვის კი აუცილებელია, ვასწავლოთ მათ საქართველოს ისტორია და ლიტერატურა, ქართული ფოლკლორი, კულტურა და ჩვენი ქრისტიანული ტრადიციები..., ჩვენ უნდა შევქმნათ კონკურენტუნარიანი საინფორმაციო გარემო, რომელიც ზემოაღნიშნულ ფასეულობებს დაეფუძნება და მათ თანამედროვეობასთან შეაზავებს. ეს კი დიდად დაეხმარება ახალგაზრდებს, დამოუკიდებლად გასცენ პასუხი დროის გამოწვევებს.

ამაშია საქართველოს გადარჩენა.

ახლა კი თქვენს ყურადღებას საქართველოს ისტორიაზე შევაჩერებ.



სამწუხაროდ, ჩვენი უძველესი ისტორიის ზოგიერთი საკვანძო საკითხი, რაც ქართველთა წარმომავლობასა და ერის ეთნოგენეზს უკავშირდება, რეალური სახით თანამედროვე საზოგადოებამ ნაკლებად იცის. ამის მიზეზი არის ის, რომ ცარიზმი და საბჭოთა იმპერია ყოველთვის ცდილობდნენ, იგი არაობიექტურად წარმოეჩინათ. მათ არ სურდათ, ჩვენს ხალხში ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთების გაღვივება, რადგან იგი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოთხოვნის საშიშროებას შეიცავდა. არაობიექტურად მიწოდებული ისტორიის საფუძველზე, სრულიად უკანონოდ და უსამართლოდ შეიქმნა, მაგალითად, ავტონომიები, XX საუკუნის დასაწყისში რუსეთის მიერ დაპყრობილ საქართველოში.

ადრეც მითქვამს, რომ სწორედ ამიტომ, განსაკუთრებულ ცენზურას განიცდიდა ქართული ისტორიოგრაფია, ენათმეცნიერება და სხვა ისეთი მიმართულებები, რომელნიც მსოფლმხედველობის განმსაზღვრელ დარგებად მიიჩნეოდა.

ჩვენს ცნობილ მკვლევარებს დიდი ძალისხმევა და თავდადება დასჭირდათ, რათა ნაწილობრივ მაინც გადაერჩინათ და დღემდე მოეტანათ ჩვენი ერის ისტორიული სიმართლე.

ახლა კი, როდესაც აღსდგა საქართველოს თავისუფლება, აუცილებელია, შეგნებულად დაფარული წარსულის წარმოჩენა და საქართველოს ობიექტური მატიანის დაწერა უხსოვარი დროიდან დღემდე (აღნიშნულ საკითხზე ბოლო სხდომაზე იმსჯელა წმ. სინოდმა და მიიღო სათანადო გადაწყვეტილება). ამას ჯერ კიდევ XIX ს-ში და XX ს-ის დასაწყისში ცდილობდნენ ჩვენი სასიქადულო მამულიშვილნი, მაგრამ მათი ნააზრევი მაშინდელი სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის საპირწონედ, ბუნებრივია, ვერ იქცა.

მაგალითად, გავიხსენოთ წმიდა ილია მართალი, რომელიც ქართველთა ფესვებს უკავშირებს ურარტულ წიაღს, რასაც, ალბათ, ისიც განაპირობებდა, რომ ურარტუელთა სამ მთავარ ღვთაებას შორის უპირველესს „ქალდი“ ერქვა.

„ურარტუელნი ქართველთა წინაპარნი ყოფილან, ქართველთა სისხლხორცნი,“–წერს იგი „ქვათა ღაღადში“ და ამ აზრს მისი დროის უცხოელ მეცნიერთა კვლევებითაც ამყარებს.

თავის ცნობილ ნაშრომში,–„ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში,“–კათოლიკოს-პატრიარქი კირიონიც არაერთხელ აღნიშნავს, რომ ქართველნი შთამომავალნი არიან ქალდეველთა, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს უძველესი მსოფლიო ისტორიისა და კულტურის განვითარებაში.

საყურადღებოა, რომ „ქალდი“ დღესაც ჰქვია უძველეს ქართულ კუთხეს ტრაპიზონის მთებში, სადაც ოდითგან ცხოვრობდნენ ლაზები.

„ქალდეად“ ლაზურ-ჭანურ სივრცეს მოიაზრებს დიდი მეცნიერი პავლე ინგოროყვაც.

ამ ტოპონიმთან დაკავშირებით კი პირველი ინფორმაცია ჩვენს წერილობით წყაროებში ლეონტი მროველთან გვხვდება. „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „კუალად გამოვიდნენ სხუანი ნათესავნი ქალდეველნი და დაეშენეს იგინიცა ქართლს“.

სიტყვა „ქალდიდან“ უნდა იყოს ნაწარმოები ჩვენი ერის ეთნონიმი „ქართიც“, რომელსაც, ალბათ, უფრო ინფორმაციის უქონლობის გამო, მეცნიერთა დიდი ჯგუფი მხოლოდ ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ საქართველოს აღმნიშვნელად მიიჩნევდა.

სინამდვილეში „ქალდი“ საერთო ქართული სამყაროს, კოლხეთის, ცენტრს, მის გულს ერქვა. გვიანდელ პერიოდში კი, უცხოტომელთა ზეწოლის შედეგად, ამ ცენტრმა ქართული ტომებითვე დასახლებულ ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონში, იმავე კულტურის წიაღში, გადმოინაცვლა და შეიქმნა ქართლის სამეფო, რომლის სახელწოდებაც, როგორც დიდი ილია ვარაუდობს, სწორედ „ქალდიდან“ მომდინარეობს.

ამდენად, ქალდი–ქართი–ქართლი–ქართველი, ჩვენი ერის ისტორიული გზის, ჩვენი ერთობის გამომხატველი ტერმინებია.

საერთოდ, ეს საკითხი შემდგომ კვლევასა და გაღრმავებას საჭიროებს.

საუკუნეების სიღრმიდან მომდინარე ჩვენმა გენმა გაუძლო ათასი ჯურის გარეშე ძალებისა და სხვადასხვა იმპერიის არაერთ მცდელობას, რომ გავეთიშეთ და დავენაწევრებინეთ; ჩვენ შევძელით, საკადრისი პასუხის გაცემა მათს ვერაგულ ქმედებებზე და დღემდე ერთობითა და ერთსულოვნებით მოვაღწიეთ. ჭკვიან მტერსა და უგუნურ მოყვასს დღესაც უნდა ჩვენი გაყოფა, მაგრამ, ღვთის მოწყალებით, ამას ვერ მიაღწევენ. ჩვენ უნდა შევძლოთ, რომ ვიყოთ არა როსტომ ხანის, არამედ ცოტნე დადიანის მემკვიდრენი.

ჩვენი ერის ერთიანობის უნიკალურობა ჩვენს საოცარ მრავალფეროვნებაშია. ყველა კუთხე თავისებურებებით გამოირჩევა: განსხვავებულია მათი სიმღერა, ცეკვა, სამოსი, სამზარეულო, მეტყველება, კილო; მაგრამ ამავე დროს ყოველივე ეს ერთიანი ქართული სულის განუყოფელი ნაწილია.

ხასიათიც განსხვავებული გვაქვს; ზოგი უფრო ფიცხია, ზოგი დინჯი, ზოგი იუმორით სავსეა, ზოგიც მკაცრი, ზოგი სიტყვაძუნწია, ზოგი სიტყვამრავალი, ზოგი უფრო ალღოიანია, ზოგი კი დამყოლი ბუნებისა და მიამიტი... მაგრამ ამ სხვაობის მიუხედავად, გვახასიათებს მთავარი საერთო თვისებებიც: სიყვარულის ნიჭი, მადლიერების განცდა, გულწრფელობა და სიალალე...

ჩვენს ერს ყოველთვის ჰქონდა მადლიერების გრძნობა ღვთისადმი. ამის დადასტურებაა საუკუნეთა მანძილზე, –განსაკუთრებით კი ყველაზე დიდი გაჭირვების ჟამს,–აშენებული ეკლესია-მონასტრების სიმრავლე. ეს განცდა მას ათეისტურმა საშინელმა რეჟიმმაც კი ვერ ჩაუკლა. ამიტომაცაა, რომ ახლა, პოსტსაბჭოთა პერიოდში, მიუხედავად სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ხანგრძლივი კრიზისისა, მიუხედავად გარედან თავსმოხვეული შეიარაღებული კონფლიქტებისა, ხალხის ძალისხმევით ათასობით ეკლესია-მონასტერი აღდგა და აშენდა, ამჟამად კი ღვთის სადიდებლად და სამადლობლად, მრევლის შესაწირით, შეიქმნა უნიკალური ხატი, „საქართველოს იმედი,“ რომელზეც ჩვენი ეკლესიის ყველა წმიდანი და მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის მნათობნი არიან გამოსახულნი, რათა მათი მეოხებით გადავრჩეთ და გადარჩეს ჩვენი ქვეყანა; ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უფლის წინაშე ვალი მოვიხადეთ და გასაკეთებელი აღარაფერი გვაქვს.

ურწმუნოთა 70-წლიანმა ბატონობამ ჩვენს საზოგადოებას ღრმა კვალი დააჩნია, და დაამახინჯა ჩვენი ცხოვრების წესი და აზროვნება; სხვადასხვა სახით ეს დღესაც ვლინდება. მათ შორის მადლიერების განცდასთან მიმართებაშიც.

ღვთისადმი მადლიერების გამოხატვა საჭიროა როგორც მთელი ერისთვის, ისე ცალკეული პიროვნებისთვის, რადგან ასეთი დამოკიდებულება მადლის მოპოვების უმარტივესი და ერთ-ერთი უმთავრესი საშუალებაა.

სახარებაში ვკითხულობთ, რომ განკურნებული ათი კეთროვანიდან მხოლოდ ერთი, სამარიტელი, დაბრუნდა მაცხოვართან მადლობის სათქმელად და ამიტომაც ღირსი გახდა შემოქმედი ღმერთი შეეცნო და ცხონების გზა ეპოვა, ხოლო დანარჩენმა ცხრა განკურნებულმა კეთროვანმა, რომელნიც აბრაამის შთამომავალნი იყვნენ და „სასუფევლის ძედ“ იწოდებოდნენ, უმადურობით დაკარგეს უფალი.

წმიდა მამები გვასწავლიან, რომ საიდუმლო სერობის შემდეგ ღვთის უდიდეს საიდუმლოს ნაზიარებ იუდას გულითადი მადლობა რომ ეთქვა იესო ქრისტესთვის, იმ საშინელ დაცემას თავიდან აიცილებდა. ამიტომაც, იუდა ღალატთან ერთად, უმადურობის სიმბოლოდაც მიიჩნევა.

მადლიერების გრძნობა ღვთისაგან გვაქვს მონიჭებული,–წერენ მამები,– და თვით ადამიანური ბუნება გვიბიძგებს ასეთი დამოკიდებულება გვქონდეს ჩვენთვის მზრუნველთადმი. შინაური ცხოველები და მხეცებიც კი ავლენენ სიყვარულს კეთილისმყოფელთადმი და რაოდენ გვმართებს, ეს განცდა გამოვხატოთ მის მიმართ, რომლისგანაც შეიქმნა ყოველი, რომელმაც მოგვმადლა ქვეყანა „უთვალავი ფერითა“, მოგვანიჭა სიცოცხლე, გონება, თავისუფალი ნება, ჯანმრთელობა, სიყვარულის უნარი, ბედნიერების განცდა, სამყაროს აღქმა, რომელიც გვითენებს ყოველ დღეს, გვაძლევს საკვებს, სითბოს, ჰაერს, წყალს და, რაც ყველაზე მთავარია, თავისი ჯვარცმისა და მსხვერპლშეწირული სიყვარულის ფასად ბოძებული წარუვალი ნეტარი ცხოვრების შესაძლებლობა.

> ***უარყოფითი საინფორმაციო ველი ყველაზე მეტად მომავალ თაობაზე მოქმედებს. ისინი ხომ ცხოვრების დიდ ნაწილს ტელევიზორთან და ინტერნეტთან ატარებენ და, ფაქტობრივად, არავინ არის მათი სწორად ფორმირებისათვის ხელისშემწყობი,***

განა შეიძლება, რომ ყოველ წამს არ ვგრძნობდეთ მის მზრუნველობას, ვიყოთ ყოველივე ამის მომხმარებელნი და არ გამოვხატავდეთ მისდამი გულწრფელ მადლიერებას?!

ვიქცევით კი ასე?

ჩვენდა სამარცხვინოდ, ხშირად მადლიერებას, ასე თუ ისე, ადამიანებისადმი უფრო ვიჩენთ, ვიდრე უფლის მიმართ.

მოჩვენებით მადლიერებას კი, როგორც ყველაფერ ფარისევლურს, აზრი არა აქვს და სისაძაგლეა იგი ღვთისა და კაცის წინაშე.

გავიხსენოთ კაენისა და აბელის მაგალითი.

რატომ შეიწირა ღმერთმა აბელის მიერ მირთმეული სამადლობელი ძღვენი, ხოლო კაენისა–არა?

იმიტომ, რომ აბელმა თავისი ქონების საუკეთესო ნაწილი გაიღო და ეს უფლისადმი მთელი სიწრფოებითა და მადლიერებით გააკეთა, კაენმა კი უგულოდ, მოვალეობის მოხდითა და ამპარტავნებით.

სწორედ ამიტომ განიძარცვა იგი მადლისაგან და დაეუფლა საშინელი შური ძმის მიმართ, შემდეგ კი იმდენად დაეცა, რომ ყურად აღარ იღო აღარც შემოქმედის გაფრთხილება: „თუ სიკეთის მქმნელი არა ხარ, ცოდვა ჩასაფრებულია კართან, შენსკენ აქვს მას ლტოლვა, შენ კი იბატონე მასზე“ (დაბ.4.7) და მკვლელობის უსაშინელესი ცოდვის პირველი ჩამდენი გახდა.

ამის მთავარი მიზეზი კი უმადურობა იყო.

უმადურობა ამპარტავანთა, ანუ ყველაზე დიდი და საშინელი ცოდვის მქონეთა, ერთ-ერთი თვისებაა; მაშინ, როდესაც გულწრფელი მადლიერება თავმდაბლობის გამოხატულებაა და ასეთ ადამიანებს ახასიათებთ.

ღმერთს მადლობა უნდა შევწიროთ ყველაფრისათვის, მათ შორის ავადმყოფობისა და სხვადასხვა განსაცდელთათვის, რადგან უფლის განგებულებით აღესრულება ყოველი და იგი აუცილებელია ჩვენი სულიერი აღზრდისა და ცხონებისათვის.

„ვინც უყვარს უფალს, მასვე ზრდის, ხოლო შოლტით სცემს ყველას, ვისაც ძედ იღებს... და თუ შორს ხართ აღზრდისაგან... ნაბუშრები ხართ და არა შვილები“ (ებრ.12,6,8),–გვასწავლის პავლე მოციქული.

შეჭირვებისა და მწუხარების მადლიერებით დათმენის საუკეთესო მაგალითია კონსტანტინეპოლის პატრიარქი, წმ. იოანე ოქროპირი.

იგი იყო მსოფლიო ეკლესიის უთვალსაჩინოესი მოღვაწე, გამორჩეული თეოლოგი, მჭერმეტყველი; მისი ნაშრომები დღესაც სამაგიდო წიგნებია ქრისტიანული რელიგიით დაინტერესებულთათვის.

წმ. იოანე ოქროპირი როგორც საზოგადოებაში, ისე სამეფო კარზე უდიდესი სიყვარულითა და ავტორიტეტით სარგებლობდა, მაგრამ შურითა და ცილისწამებით სავსე ადამიანებმა იმდენი შეძლეს, რომ იმპერატორის ბრძანებით პატრიარქობიდან გადააყენეს და უსამართლოდ დევნილი და შეურაცხყოფილი გადასახლებაში გაგზავნეს ჯერ სომხეთში, შემდეგ კი–საქართველოში, კერძოდ, აფხაზეთში, სოფ. კომანში, სადაც აღესრულა კიდეც.

ასეთი დამცირების მიუხედავად, იგი სიცოცხლის ბოლომდე ქრისტეს ერთგულ მხედრად დარჩა და მაცხოვრისა და მოყვასის სიყვარული არასოდეს დაშრეტია; პირიქით, აქედან ანუგეშებდა ბიზანტიაში დარჩენილ თავის სამწყსოს და მოუწოდებდა, ნებისმიერ სიტუაციაში მადლიერნი ყოფილიყვნენ უფლისა.

სწორედ მას ეკუთვნის ცნობილი სიტყვები: „მადლობა ღმერთს ყველაფრისათვის“, რაც, ფაქტობრივად, პავლე მოციქულის ნათქვამის გამეორებაა: „მადლიერნი იყავით ყველაფრისათვის, რადგან ასეთია თქვენდამი ნება ღმრთისა ქრისტე იესოში“. (I თესალ. 5.18)

ასეთი დამოკიდებულება სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს მძიმე მდგომარეობას უნდა შევეგუოთ და ხვედრს დავმორჩილდეთ, ანუ ბედისწერის შესახებ არასწორი სწავლება გავიზიაროთ.

არა, მუდამ საჭიროა ლოცვა და სწორი ქმედება, როგორც ბრძანებს უფალი ჩვენი იესო ქრისტე: „ითხოვდით და მოგეცეს თქვენ, ეძიებდეთ და – ჰპოვოთ“ (მათე 7.7) ოღონდ, ამას არ უნდა ახლდეს დრტვინვა და მრისხანება, არამედ შემოქმედისადმი ყოველივე მადლიერებით უნდა აღესრულებოდეს და თუ ჩვენი სურვილი იმ ეტაპზე ჩვენი სულისთვის სასარგებლოა, მაცხოვარი აუცილებლად შეისმენს მას.

გავიხსენოთ მართალი იობი, როგორი სიმშვიდით, მოთმინებითა და მადლიერებით მიიღო მან თავსდატეხილი დიდი განსაცდელი; სანაცვლოდ კი უფალმა ამქვეყნადვე მრა-

>>>>>>>>>> 3

1 <<<<<<<<<<

ვალწილად დაუბრუნა ქონებაც, დიდებაცა და პატივიც.

სამწუხაროდ, ათეისტური აზროვნების გავლენითაა, რომ განსაცდელის დათმენა და მადლიერებით მიღება თანამედროვე საზოგადოების დიდი ნაწილისათვის სრულიად გაუგებარია, რადგან ისინი ასეთი დამოკიდებულების კეთილ შედეგს მიწიერ ყოფაში ვერ ხედავენ და, ამასთან, არ სჯერათ, რომ გარდაცვალების შემდეგ მარადიული სიცოცხლე იწყება. ამიტომაც ესწრაფვიან დიდებასა და კეთილდღეობას ამქვეყნად.

ურწმუნო ადამიანი როდესაც სიკეთეს აკეთებს, ფიქრობს, რომ მხოლოდ იგია მადლიერების ღირსი და მას ეკუთვნის სათანადო დაფასება. იგი ვერ აცნობიერებს, რომ ასეთი ქველმოქმედება პირადად მისთვის ახალი დიდი ცოდვის მიზეზი ხდება, რადგან ქება ამპარტავნებას უძლიერებს და მის სულს კიდევ უფრო აზიანებს.

[...]

საზღვრობს. ისინი, მართალია, ამბობენ აღსარებას და ასრულებენ საეკლესიო წესებს, მაგრამ, ამავე დროს, მათთვის უცხო არ არის განკითხვა, ცილისწამება, ამპარტავნება, სიცრუე, ეჭვი, უსიყვარულობა, გულგრილობა, სიზარმაცე, შური, მრისხანება...

დაცემა და ადამიანური სისუსტენი ყველას აქვს, მაგრამ „მორწმუნეთა“ ამ ნაწილისათვის ორმაგი სტანდარტებით ცხოვრება მისაღები გახდა და შეეჩვივნენ ამ მდგომარეობას.

ღმერთისთვის კი ასეთნი მიუღებელნი არიან და, ბუნებრივია, არც მათი სათხოვარი შეისმინება.

წმიდა იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებაში ვკითხულობთ: „ვიცი საქმენი შენნი; არც ცივი ხარ და არც ცხელი; ოჰ, ნეტავ ცივი მაინც იყო, ან ცხელი. მაგრამ რაკი ასე ნელთბილი ხარ... ამიტომ ამოგანთხევ პირისაგან ჩემისა“ (3. 15-16).

ღმერთმა ნუ ქნას ამ მდგომარეობაში დაამთავროს ვინმემ სიცოცხლე.

# პატრიარქის საშობაო ეპისტოლე

რებს და მის სულს კიდევ უფრო აზიანებს.

ხოლო, როდესაც მორწმუნე აღასრულებს სიკეთეს, ამას უფლის სახელით იქმს და ამასთან, მადლობს შემოქმედს, რომ საშუალება მისცა სხვისთვის სიხარულის მინიჭებისა; ხარობს გაცემით, თუმცა თავს აღსრულებული ქველმოქმედების მხოლოდ გამტარად, საშუალებად აღიქვამს, ამიტომაც ჩრდილში ყოფნას ირჩევს და მადლობას და დიდებას უთმობს ღმერთს.

უფლისა მადლიერებას ყოველდღიური ლოცვებიც გვასწავლის, ხოლო ვინც ჯერ კიდევ ეკლესიურად არ ცხოვრობს და ეს ლოცვები არ იცის აუცილებელია, გულში მაინც თქვას მადლობა თუნდაც საჭმლის მიღების შემდეგ; ასეთი მცირედი წრფელი ქმედებაც კი მადლს მოაპოვებინებს და ცხონების გზას აპოვნინებს მას.

ამ თემაზე განსაკუთრებული ყურადღება იმიტომ გავამახვილეთ, რომ მადლიერება უმთავრესი ქრისტიანული სათნოებათაგანია და მასთან დაკავშირებით ჩვენი დამახინჯებული დამოკიდებულებები, აუცილებლად, უნდა გამოვასწოროთ.

მაშინ, როდესაც მოიწევა აღსასრული, „წინასწარმეტყველებანი განქარდებიან, ენები დადუმდებიან და უქმი გახდება ცოდნა“ (Iკორ.13.8), როდესაც რწმენაც განხორციელდება და აღსრულდება სასოებაც, ადამიანის სულს სასუფეველში მხოლოდ სიყვარულის გრძნობა და მადლიერების განცდა გაჰყვება. იგი ჭეშმარიტი სიყვარულის თანმდევია ამქვეყნიურ ცხოვრებაშიც და მასთან ერთად ზეიმობს მარადიულ ნეტარებაში.

წმ. ამბროსი ოპტინელი წმ. პავლე მოციქულის დარიგების გათვალისწინებით, გამოყოფს ოთხ უმთავრეს სათნოებას და გვასწავლის: 1) იყავით მრავლის დამთმენნი; 2) მარადის ხარობდეთ; 3) მუდამ ილოცეთ; 4) მადლიერნი იყავით ყოველთვის; და ამასთან აღნიშნავს, რომ ამ სათნოებათა მოპოვება ბოლოდან ანუ მადლიერებით უნდა დავიწყოთ, რათა მადლი შევიძინოთ.

მადლი არ იყიდება და არც სხვა საშუალებით გადაეცემა. ნებისმიერმა ჩვენგანმა თვითონ უნდა იღვაწოს, იმდენი მადლი მოიპოვოს, რომ ცხონდეს. ამისთვის კი თავმდაბლობა უპირველესი პირობაა. უფალი ბრძანებს: „ამპარტავანთა შემუსრავს ღმერთი, ხოლო მდაბალთ მოანიჭებს მადლს“ (I პეტრე 5.5).

ამასთან, ადამიანს რაც უფრო მაღალი აქვს თანამდებობა და, აქედან გამომდინარე, პასუხისმგებლობა, მადლმოსილებაც მეტი მართებს. მადლმოსილ პიროვნებათა სიმრავლე ქმნის ერის კეთილდღეობას, მადლის სიმცირე კი ხშირად განაპირობებს მის განსაცდელში ყოფნას.

ჩვენი პრობლემების უმეტესობაც მადლის ნაკლებობიდან მომდინარეობს.

მართალია, უღმერთობის ხანა დასრულდა და ხალხი ეკლესიური გახდა, მაგრამ მათი დიდი ნაწილის სარწმუნოება მაინც ნელ-თბილია, რადგან ყველაფერს გარეგნულად უგულოდ აკეთებენ. ქრისტეს სახელი მხოლოდ გონებასა და ბაგეებზეა, გულში კი ისევ „ძველი კაცი“

მაშ, მოვიკრიბოთ შინაგანი ძალა, ვისწავლოთ სწორი დამოკიდებულება ღვთისადმი და მოყვასისადმი; დავიწყოთ ყველაზე მარტივით, მადლიერებით. ელემენტარულ სიკეთეზეც კი გულწრფელი მადლიერება გამოვთქვათ, ხოლო კაცთა შორის განსაკუთრებული მადლობა გვმართებს მშობლებისადმი, „რათა კეთილი გვეყოს და დღეგრძელ ვიყოთ ქვეყანასა ზედა“. ასევე უნდა მოვიქცეთ ხანდაზმულთა და გარდაცვლილ წინაპართა მიმართ.

> ***ამასთან, ადამიანს რაც უფრო მაღალი აქვს თანამდებობა და, აქედან გამომდინარე, პასუხისმგებლობა, მადლმოსილებაც მეტი მართებს. მადლმოსილ პიროვნებათა სიმრავლე ქმნის ერის კეთილდღეობას, მადლის სიმცირე კი ხშირად განაპირობებს მის განსაცდელში ყოფნას.***
>
> ***ჩვენი პრობლემების უმეტესობაც მადლის ნაკლებობიდან მომდინარეობს.***

განვაგდოთ ჩვენგან „ძველი კაცი“, გულის კარი გავუღოთ მაცხოვარს; და იგი ჩვენში აუცილებლად დაივანებს. ხოლო როდესაც ეს აღსრულდება, დავინახავთ, რომ ჩვენს შინაგან სამყაროში ყველაფერი ძირფესვიანად შეიცვლება და უფალიც მოგვაგებს თხოვნისამებრ.

საყვარელნო შვილნო, უდიდესი კრძალვით, სიყვარულითა და მადლიერებით განვუფინოთ ჩვენი სული, გული და გონება ბეთლემის ბაგასა შინა მწოლ ყრმას, ჩვენს უდიდეს მარადიულ ნუგეშსა და იმედს და შევღაღადოთ უფლის წინაშე ჩვენს საოცარ მეოხსა და მფარველს, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს:

„მოწყალებისა კარი განგვიღე კურთხეულო ღვთისმშობელო, რათა რომელნი ესე შენ გესავთ, არა დავეცნეთ, არამედ განვერნეთ წინააღმდგომთა მტერთაგან, რამეთუ შენ ხარ ცხოვრება ნათესავისა ქრისტიანეთასა, ამინ!“

საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებნო ყოველნო ქართველნო, აფხაზნო, ოსნო და ბერძენნო, რუსნო და უკრაინელნო, აზერბაიჯანელნო და სომეხნო, ასირიელნო და უდინნო... საქართველოს მკვიდრნო ყველა სხვა ერის წარმომადგენელნო, მართლმორწმუნენო, „მოიპოვეთ შეუძვრელი სასუფეველი და იქონიეთ მადლი და „მოადექით თქვენ სიონის მთას და ქალაქს ცოცხალი ღმერთისას, ზეციურ იერუსალიმს და ანგელოზთა უხილავ სიმრავლეს. მოზეიმე საკრებულოს და ცაში ჩაწერილ პირმშოთა ეკლესიას და ახალი აღთქმის შუამდგომელს იესოს“ (ებრ.12. 28, 22-23) და გიხაროდეთ, რამეთუ დღეს იშვა ქრისტე!

# სამადლობელი

მუნიციპალიტეტის ომის, შრომის და სამხედრო ძალების ვეტერანები, რაც დრო გადის უფრო და უფრო ვმცირდებით ავადმყოფობისა და ხანდაზმულობის გამო.

ქვეყნის ხელისუფლება კი დღითიდღე მეტ მზრუნველობას იჩენს ჩვენს მიმართ. ამის დასტური იყო ძველი და ახალი წლის გზაგასაყარზე ხეთის დიდების მუზეუმში მოწყობილი შეხვედრა, რომელმაც ძალიან გაგვახარა თითოეული ჩვენთაგანი. ომის ვეტერანებს შეხვედრა მოგვიწყო მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბატონმა გოგა ღურწკაიამ და გამგეობის თანამშრომლებმა გულთბილად მოგვილოცეს დამდეგი შობა-ახალი წელი და დიდხანს სიცოცხლე გვისურვეს. ღონისძიების ბოლოს გადავიღეთ სამახსოვრო ფოტოები და ტკბილ სუფრასთან მიგვიპატიჟეს ნასიამოვნები დავრჩით ამ დღით. ამაღლებული და სულში ჩამწვდომი იყო ის სითბო და სიყვარული, რასაც ისინი ჩვენს მიმართ იჩენდნენ.

სასიამოვნოა, რომ მუნიციპალიტეტს ახალგაზრდა, ენერგიული, შრომისმოყვარე, განათლებული, ყურადღებიანი კადრი გოგა ღურწკაია უძღვება.

ტრადიციულად შეხვედრიდან ხელცარიელები არც ამჯერად წამოვსულვართ, საქართველოს პარლამენტში მაჟორიტარმა დეპუტატმა ბატონმა გოდერძი ბუკიამ ომის მონაწილეებს საშობაო საჩუქარი–სასურსათო ნობათი გამოგვიგზავნა, რომელიც დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელმა ბატონმა რევაზ წულაიამ გადმოგვცა.

ამ პატარა ბარათით ხობის ომის, შრომის და სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირის გამგეობის სახელით მადლობა იმ ადამიანებს, რომლებმაც მოგვილოცეს ეს ახალი წელი. ჩვენ ყოველთვის ვგრძნობთ თქვენგან სითბოს, სიყვარულს, მოწიწებას.

თქვენ შესძელით ჩვენთვის სიხარულის მონიჭება და ამით სიცოცხლე გაგვიხანგრძლივეთ.

მრავალ შობა-ახალ წელს დაგასწროთ უფალმა. ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!

***ალექსანდრე ცხადაია,***
***ხობის ომის, შრომის და სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე.***

# შავღელე — ახალფეხადგმული სოფელი



*ჯამბულ ცეცხლაძე 1970 წლის 29 სექტემბერს დაიბადა ხულოს რაიონის სოფელ თაგოში. იქ დაამთავრა რვაწლიანი სკოლა და სწავლა ბათუმის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში აგრონომიულ ფაკულტეტზე განაგრძო. შემდეგ ქ. ჩიტაში სამხედრო–სავალდებულო სამსახურს იხდიდა. იქ ყოფნის შემდეგ ბათუმის პოლიციის თანამშრომელი გახლდათ.*

*ხობთან 22 წელი აკავშირებს. 2006 წელს სოფელმა, სადაც ის ამჟამად ცხოვრობს, სოფლის თავკაცად აირჩია და სამი წელი უხელფასოდ ემსახურებოდა თანასოფლელებს–ეკომიგრანტებს. 2009 წელს დაინიშნა პატარა ფოთის გამგეობის რწმუნებულის სპეციალისტად შავღელეს უბანში. 2011 წლის 5 სექტემბრიდან არის ახალშექმნილი სოფლის–შავღელეს ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული.*

***ჯამბულ ცეცხლაძე ერთ-ერთი იმათაგანია, რომლებიც 1989 წლიდან თავიანთ ოჯახებთან ერთად ხულოს მაღალმთიანი სოფლიდან ხობის რაიონის სოფელ პატარა ფოთის ციტრუსების მეურნეობაში ჩამოსახლდნენ და სამუდამო ბინა დაიდეს. იმ დღიდან ის და სხვა იქიდან ჩამოსახლებულები ხობის ნაწილი გახდნენ.***

***პატარა ფოთის ციტრუსების მეურნეობაში მაშინ სისხლსავსე ცხოვრება ჩქეფდა. ფეხმოკიდებული ახალი მეურნეობა, რომელსაც სათავეში ამირან კუცია ედგა, ციტრუსების ბაღნარს გავდა. ხულოდან ჩამოსახლებული მოსახლეობის ნაწილი სწორედ იქ აშენებულ ფინურ სახლებში ჩასახლდნენ. ნაწილმა ჭალადიდსა და ხეთაში დაიდეს ბინა. სამოქალაქო ომის წლებმა პატარა ფოთის ციტრუსების მეურნეობა გააჩანაგა, განუკითხაობამ იქ ყველაფერი მოსპო და დააკნინა. შეწყდა მშენებლობები, სამუშაო უკვე აღარაფერი იყო, მოსახლეობა უმუშევარი და ღვთის ანაბარა დარჩა. მას მერე „ცხრა წყალმა ჩაიარა...“ სოფელი მხოლოდ სკოლის შენობის ამარა დარჩა. განუკითხაობის ჟამს იქ ყველაფერი დაინგრა და ის მიწები, რაც მეურნეობას გააჩნდა, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ სამოსახლოდ ხალხს გადასცა... და ასე შეიქმნა შავღელე, პატარა ფოთის ერთ-ერთი უბანი. წლებია სამეგრელოს შესისხლხორცებული აჭარლები ნამდვილი ხობელები გახდნენ, ოჯახებიც გამრავლდნენ...***

***გასული წელი ძალზე სასიამოვნო და მნიშვნელოვანი გახდა შავღელელებისთვის. მათ 21-ე საუკუნეში ხობის მუნიციპალიტეტის 21-ე სოფლის ჩამოყალიბება იზეიმეს. სასიამოვნოა მათთვის შავღელეს სტატუსის მინიჭება. სოფლის მოსახლეობა იმედით უყურებს ახალი წლის მობრძანებას, რომ მათ სოფელში დაიწყება მშენებლობები, ექნებათ ადმინისტრაციული სახლი, კლუბი, ბიბლიოთეკა, სამედიცინო პუნქტი... და ყველაფერი ის აუცილებელი რამ, რაც სოფელს სჭირდება. ამასთან, უპირველესი–ექნებათ სასმელი წყალი და მოხდება მოსახლეობის ელექტროგამრიცხველიანება, რომ ექნებათ სამუშაო ადგილები, ამის საფუძველს მათ უახლოეს მომავალში სოფლის ტერიტორიაზე ფოთის აეროპორტის აშენება აძლევთ...***

დღევანდელი ჩვენი გაზეთის სტუმარი გახლავთ ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს შავღელეს რწმუნებული ***ჯამბულ ცეცხლაძე***, რომელიც ისაუბრებს სოფლის ავ-კარგზე, როგორც მან აღნიშნა, ეს ესაა ფეხს იდგამს მისი სოფელი...

–1989 წელს აჭარის მაღალმთიან რაიონებში მომხდარი სტიქიური უბედურების გამო ხულოს, შუახევისა და ქედის რაიონების რამდენიმე სოფლიდან მოსახლეობის ნაწილი, როგორც ეკომიგრანტები ჩამოგვასახლეს სოფელ პატარა ფოთის ერთ-ერთ უბან–შავღელეში, სადაც იმ დროისთვის ციტრუსების მეურნეობა მდებარეობდა. 22 წლის განმავლობაში სოფლის მოსახლეობამ გამოიარა პრობლემების, დახმარებების, ზოგჯერ უიმედობის წლები, მაგრამ ეკომიგრანტებისათვის, საკუთარ კუთხეს დაშორებული ოჯახებისათვის მთავარი იყო ის დიდი სითბო, რასაც ხობელები ჩვენს მიმართ იჩენდნენ. ამ პატარა უბნის მცხოვრებლებმა სხვადასხვა წლებში რამდენჯერმე მიმართა ხელისუფლებას, რომ სოფლისათვის სტატუსი მიენიჭებინათ. რამდენად დიდი იყო მოსახლეობის სიხარული, როცა ჩვენი წერილის საპასუხოდ საქართველოს პრეზიდენტმა ბატონმა მიხელ სააკაშვილმა 2011 წლის 7 ივლისს შავღელეს სოფლის სტატუსი მიანიჭა, რისთვისაც კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო სოფლის მოსახლეობის მრავალჯერ ნათქვამი სამადლობელი სიტყვები პრეზიდენტისა და ხელისუფლების მიმართ.



იურიდიული თვალსაზრისით სოფელი უკვე არსებობს. ამ დროისთვის სოფელში 228 კომლი ცხოვრობს. საჯარო სკოლაში სწავლობს 122 მოსწავლე, რომელთა განათლებას 23 პედაგოგი ემსახურება.

სოფელმა თავისი სახე და იმიჯი რომ შეიქმნას, უნდა გაიაროს ყველა გზა, რითაც ის მძლავრად ფეხის მოკიდებას და წარმატებულ სოფელთა რიცხვში მოხვედრას შეძლებს. ამისათვის უპირველეს ყოვლისა უნდა მოწესრიგდეს ინფრასტრუქტურა. ის პრობლემა, რაც სასმელ წყალთანაა დაკავშირებულია,–ვფიქრობთ, მოგვარდება. გასულ წელს დასრულდა რეზერვუარებისა და ტუმბოს შენობების რემონტი. გასულ წელსვე კომპანია „ენერგო–პროჯორჯიას“ 2012 წლის პირველი კვარტლისათვის დაგეგმილი ქონდა გამრიცხველიანება, ეს ყველაფერი ურთიერთ კავშირშია, წყლის პრობლემის მოგვარებისა და გამრიცხველიანების პროცესი ვფიქრობთ, ერთობლივად უნდა წარიმართოს, რომ სასურველ შედეგს მივაღწიოთ. სოფლისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა სასმელი წყლის მიწოდება.

შავღელეს მოსახლეობა აღფრთოვანებულია, რომ ხობის მუნიციპალიტეტის ახალმა გამგებელმა ბატონმა გოგა ღურწკაიამ პირველი სამუშაო გასვლა სწორედ შავღელეში გადაწყვიტა. ამით კიდევ ერთხელ ვიგრძენით რომ წლევანდელი წელი XXI საუკუნის XXI სოფელში წინსვლის და პრობლემების დაძლევის წელი იქნება.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გაზეთ „ხობის მოამბეს“ პირველი ნომრიდან შავღელეს მოსახლეობის სახელით ახალი წელი ყველა ხობელს და სრულიად საქართველოს მოსახლეობას მივულოცო და წარმატებული წელიწადი ვუსურვო.

გვჯერა, ხელისუფლების ძალისხმევით ქვეყანა განაგრძობს წინსვლას, გაძლიერდებიან ჩვენი სოფლები, დაბრუნდება დაკარგული ტერიტორიები: აფხაზეთი და სამაჩაბლო. ჩვენს სოფელში მეჩეთის გვერდით ქრისტიანული ტაძარი აღიმართება და მართლმადიდებელი და მუსულმანი ქართველები ერთად ვილოცებთ, ერთად ვიშრომებთ და საქართველოსთვის დავიხარჯებით.

***ესაუბრა ნანი კილასონია.***

## ინტერვიუ

# „ადამიანის სიცოცხლე ღვთისგან ბოძებულია“



*ექიმის პროფესია საკმაოდ რთული და საპასუხისმგებლოა. ახლანდელ პერიოდში განსაკუთრებით, როცა ამდენი იწერება მათ მიერ დაშვებულ შეცდომებზე, ტელევიზიით კი ხშირად გვაუწყებენ ექიმის მიერ დაშვებულ შეცდომებზე, რომლებიც ფატალურად მთავრდება. ამის გამგონეს შიში გიპყრობს. ამ ყოველივეს ფონზე კი როცა შენს ირგვლივ საუბარია ისეთ ექიმზე, რომელსაც პაციენტები ემადლიერებიან, სიყვარულით და სითბოთი საუბრობენ მათ მიმართ, გულგრილი ვერც შენ დარჩები, მითუმეტეს თუ ის შენთვის კარგად ნაცნობი, შენი თაობის წარმომადგენელია.*

*რესპოდენტი, რომელზეც დღეს მინდა გესაუბროთ, შ.პ.,ს „მკურნალის“ დირექტორი, ექიმი ნევროლოგი ლევან ქავთარაძე გახლავთ. მასთან მისულს, კაბინეტთან ხალხმრავლობა დამხვდა. მეც სიტუაციით ვისარგებლე და მის ერთგულ პაციენტებს გავესაუბრე. ისინი დიდ მადლიერებას გამოხატავენ მისი და იქ მომუშავე პერსონალის მიმართ, პაციენტთა შორის მხოლოდ ხობელები არ იყვნენ, იქ სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოსულებსაც შეხვდებოდით, ეს კი უდაოდ მის პროფესიონალიზმზე მიანიშნებს და იმაზეც, რომ მას არა მარტო ხობში, მის საზღვრებს გარეთაც კარგად იცნობენ, სჯერათ, ენდობიან როგორც ექიმს და პატივს სცემენ.*

***შტრიხები პორტრეტიდან:*** *1989 წელს, ხობის №1 საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ლევან ქავთარაძემ სანკტ-პეტერბურგის ერთ-ერთ კლინიკაში ორი წელი სანიტრად იმუშავა. 1991 წელს სანკტ-პეტერბურგის პავლოვის სახელობის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე ჩაირიცხა, რომელიც 1997 წელს დაამთავრა. 2001 წელს იმავე უნივერსიტეტის ნევროლოგიისა და ნეიროქირურგიის კათედრაზე კლინიკური ორდინატურა ნევროლოგიის სპეციალობით გაიარა. 2008 წლამდე სანკ-პეტერბურგის №2 მრავალპროფილიანი საავადმყოფოს ნეიროქირურგიულ ცენტრში ნევროლოგად მუშაობდა, ბოლოს გულმა მაინც მშობლიურ ქალაქში გამოუწია. 2008 წლის ივნისიდან უკვე ხობშია და აქაურ პაციენტებს ემსახურება.*

**პირველ რიგში, გილოცავთ ახალ წელს. მოგვიყევით თქვენი საახალწლო ტრადიციების შესახებ, როგორ ხვდებით ამ დღესასწაულს, სად შეეგებეთ ახალ 2012 წელს?**

–უპირველეს ყოვლისა, პირადად თქვენ და ჩემს მშობლიურ ხობს და ყველა იმ ადამიანს, ვინც ამაყობს ხობით და იღწვის ხობისა და ხობელების კეთილდღეობისთვის, გილოცავთ ახალ წელს, შობის ბრწყინვალე დღესასწაულს. ახალ წელს ვხვდები ოჯახთან ერთად და შემდეგ გავდივარ, ასე ვთქვათ „შემოვლაზე“, ვცდილობ, რაც შეიძლება მეტ მეგობარს თუ ნათესავს ვესტუმრო ახალი წლის ღამეს.

**რამ გადაგაწყვეტინათ ექიმი რომ გამხდარიყავით; ოჯახურმა გარემომ ხომ არა? თქვენ ხომ, ხობელებისათვის და არა მარტო მათთვის, დაფასებული პიროვნების, კარგი ექიმის, ბატონ ლევან (ლუთი) ქავთარაძის შვილი ბრძანდებით?**

–დაზუსტებით ვერ გეტყვით, რამ გადამაწყვეტინა ექიმი გამხდარვიყავი, რადგან, რაც თავი მახსოვს, ექიმობაზე ვოცნებობდი. რა თქმა უნდა, ამაში უდიდესი როლი მშობლებს, მეტად კი მამას მიუძღვის. ერთის მხრივ, უდიდესი ბედნიერებაა, ხოლო მეორე მხრივ, არანაკლები პასუხისმგებლობა, იყო ასეთი მამის შვილი. ვამაყობ ამით, ვცდილობ მისი ავტორიტეტი არ შევლახო და ამავე დროს, ცოტა არ იყოს, რთულია ქართული ხალხურ ანდაზას მიჰყვე: „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი ჯობდეს მამასა...“

**თქვენი სამედიცინო პრაქტიკა პირველად როდის და სად შედგა?**

–სამედიცინო პრაქტიკა კლინიკური ორდინატურის თეორიული ციკლის დამთავრებისთანავე 1997 წლის ოქტომბერში დავიწყე, როდესაც ინსულტების განყოფილების 7 ადგილიანი პალატის მკურნალ ექიმად დამნიშნეს, გამოგიტყდები, ძალიან ვღელავდი, მეშინოდა კიდეც, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ თავი წარმატებით გავართვი.

**კერძო კლინიკის გახსნა რამ გადაგაწყვეტინათ?**

–კლინიკა მამამ გახსნა და დაარსა 1996 წლის დასაწყისში, ეს იყო პატარა ამბულატორია 3 ექიმის და 1 ლაბორანტის შემადგენლობით. ასევე 2009 წლის ბოლოს მამას და ჩემი ერთობლივი გადაწყვეტილებით, ასევე ბანკის კრედიტის მეშვეობით დავიწყეთ გაფართოება; გაკეთდა და ამჟამადაც მიმდინარეობს შენობის რემონტი, კეთილმოეწყო და გაიზარდა კაბინეტების რაოდენობა, შევიძინეთ საჭირო აღჭურვილობა, ასე ვთქვათ, „გავიზარდეთ“.

**შ.პ.ს. „მკურნალის“ თანამშრომელთა რაოდენობა ამჟამად რამდენს შეადგენს?**

–თანამშრომელთა რაოდენობა ამჟამად შეადგენს 20 ადამიანს. დავძენ, რომ მიღწეულზე გაჩერებას არ ვაპირებთ, ყოველდღიურად ვაუმჯობესებთ ინფრასტრუქტურას და პაციენტთა მომსახურების დონეს.

**რა და რა სახის მომსახურებას თავაზობს თქვენი კლინიკა პაციენტებს?**

–კლინიკაში მოსული პაციენტს შეუძლია მიიღოს ნევროლოგის, თერაპევტის, კარდიოლოგის, დერმატო–ვენეროლოგის, ოფთალმოლოგის, პედიატრის კონსულტაცია. მუშაობს სტომატოლოგიური, ექოსკოპიის, ფიზიოთერაპიის კაბინეტები, უახლოეს მომავალში გაიხსნება გინეკოლოგიურ კაბინეტიც. კლინიკური და ბიოქიმიური ლაბორატორია, სადაც კეთდება გამოკვლევათა იმდენად ფართო სპექტრი, რომლის შესაძლებლობაც არ გააჩნია ზოგიერთ უფრო დიდ ამბულატორიულ თუ სტაციონალურ კლინიკას, კლინიკა დაკომპლექტებულია მაღალიკვალიფიკაციის კონკურენტუნარიანი სპეციალისტებით და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, პაციენტი სხვა კლინიკებთან შედარებით დაბალ ფასებში ღებულობს კვალიფიკაციურ სამედიცინო დახმარებას.

**ლევან, როგორც ჩემთვის ცნობილია თქვენ არა მარტო ხობელი პაციენტები გემადლიერებიან...**

–მინდა გითხრათ, რომ ბოლო 2 წლის განმავლობაში ჩვენს კლინიკაში ხშირად შეხვდებით პაციენტებს თერჯოლიდან, ქუთაისიდან, სამტრედიიდან, ბათუმიდან, ერთი სიტყვით, სამეგრელოს თითქმის ყველა რაიონიდან და ოკუპირებული აფხაზეთიდანაც კი, რაც განაპირობა მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ გაწეულმა ეფექტურმა მკურნალობამ.

**დამეთანხმებით ალბათ, რომ ცხოვრებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ოჯახს უკავია, თქვენ რას გვეტყოდით თქვენი ოჯახის შესახებ?**

–ბედნიერი ვარ და ვამაყობ ჩემი ოჯახით, მყავს კარგი მშობლები, მეუღლე ნათია სალაყაია, რომელიც ჩემი კოლეგაა და ამჟამად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რადიოლოგიის კათედრის რეზიდენტია. ქალიშვილი მარიკა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტია, ვაჟიშვილი სანდრო კი მე-9 კლასელია.

**როგორც ვიცი, ოცნება ცოდვად ითვლება, თუმცა ოცნების გარეშეც ცხოვრება ძნელი წარმოსადგენია ალბათ...**

–დაგეთანხმები, ოცნების გარეშე მართლაც, რომ ცხოვრება შეუძლებელია. გარდა ოჯახისა და ახლობლების კეთილდღეობისა, ვოცნებობ იმ დღის მოახლოებაზე, როცა ჩვენი კლინიკა გაფართოვდება და ტრანსფორმირდება თანამედროვე, რეგიონის საუკეთესო სტაციონარად.

**წარსულის წარსულში დატოვება ალბათ არ ვარგა, რა გამახსოვრდებათ თქვენი წარსულიდან, რამაც ყველაზე მეტად გაგახარათ ან გული გატკინათ?**

-წარსულიდან ყველაზე მეტად ბავშვობის გახსენება მახარებს. დამეთანხმებით ალბათ, უბედნიერესი ბავშვობა გვქონდა. გულს კი მტკენდა სტუდენტობის პერიოდში (90-იან წლებში) სამშობლოში ჩამოსულს ჩემი მშობლიური ხობი და მთლიანად საქართველო გოლიათის ნაბიჯებით უფსკრულკისაკენ მიმავალი რომ მხვდებოდა, ხალხი შიმშილობდა და უაზრო ძმათამკვლელ ომში იღუპებოდა.

**„რაღაც მინდა, სიცოცხლეზე მეტი...“ რა შეიძლება უნდოდეს კაცს სიცოცხლეზე მეტი...**

–ადამიანის სიცოცხლე ღვთისგან არის ბოძებული და მისი ხანგრძლივობაც მხოლოდ უფლის ხელშია. რას შევწირავდი სიცოცხლეს?–ოჯახის და სამშობლოს ღირსებას.

**კმაყოფილი ხართ თუ უკმარისობის გრძნობა გაწუხებს?**

–კმაყოფილების გრძნობა მეუფლება ყოველი პაციენტის გამოჯანმრთელებისას, მაგრამ ის, ვინც მხოლოდ დღევანდელი დღით არ ცხოვრობს, არ შეიძლება ბოლომდე კმაყოფილი იყოს. კმაყოფილი ვიქნები, როდესაც საქართველო გამთლიანდება, ქართველი ხალხი ჯანსაღი და მდიდარი გახდება, საქართველო აყვავდება და დაწყებულ საქმეს ბოლომდე მივიყვან.

**ესაუბრა
ნინო გერგაია**

# ვეტერინარია–პერსპექტიული დარგი



***სოფლის მეურნეობა სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი დარგია, რომელიც შედგება მემცენარეობისა და მეცხოველეობისაგან. მათგან მეცხოველეობა ერთ-ერთი უძველესი და რთული დარგია, რომელიც ყოველდღიურ ზრუნვასა და ყურადღებას მოითხოვს.***

***როგორც სოფლის მეურნეობის სხვა დარგები, ისე მეცხოველეობაც განახლებას, აღორძინებასა და შემდგომ განვითარებას მოითხოვს. ეს კი შესაძლებელია კვალიფიციური კადრების და ამ დარგის ყოველგვარი რესურსების მიზანმიმართულად გამოყენების გზით.***

***მეცხოველეობის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, ზოოტექნიკური მეცნიერების მიღწევების და გამოცდილების დაუფლება და მისი წარმოებაში დანერგვა. გარდა ამისა საჭიროა არა მარტო მათი დაუფლება, არამედ გაუმჯობესება, სრულყოფა, შესწავლა.***

***როზა ჯალაღონია მიეკუთვნება ვეტერინართა იმ რიცხვს, რომელიც დროთა და გარემოებათა ცვლილებამ ვერ შეცვალა. მიუხედავად ცხოვრების სიდუხჭირისა, თავისი სპეციალობის (ვეტერინარი ექიმი) დროებით „არსაჭიროებამ“, მან გზა არ შეცვალა და თავისი პროფესიის ერთგული დარჩა. დღეს კი მას გაუმართლა, მისი პროფესია საჭირო და პერსპექტიული გახდა, რადგან ქვეყანაში იწყება სოფლის მეურნეობის აღორძინება, მათ შორის მეცხოველეობისაც.***

***ქალბატონმა როზა ჯალაღონიამ 1986 წელს დაამთავრა საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო კვლევითი ინსტიტუტის სავეტერინარო ფაკულტეტი ვეტერინარი ექიმის სპეციალობით. მუშაობა დაიწყო ჩხოროწყუს რაიონის სოფელ კირცხის ვეტერინალური ამბულატორიის გამგედ. საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან დაკავშირებით, იგი 1987 წელს სამუშაოდ გადმოვიდა ხობის რაიონის სოფელ საჯიჯაოში ვეტ. უბნის გამგედ, სადაც 2002 წლამდე იმუშავა.***

***2002-2006 წლებში მუშაობდა საქართველოს ვეტერინარიის დეპარტამენტის ხობის ვეტერინარ–ინსპექტორად, ამჟამად მუშაობს ხობის აგრარული ბაზრის ვეტერინარულ–სანიტარული ზედამხედველობის ექიმად.***

***ქალბატონი როზა ჯალაღონია ჩვენი დღევანდელი ნომრის სტუმარია.***

–მიმაჩნია, რომ ყველა სპეციალობის ადამიანი უნდა ზრუნავდეს ცოდნის მუდმივად განახლებაზე, ახალი ტექნოლოგიების გაცნობაზე, ამიტომაც არ შემიწყვეტია ჩემი პროფესიული განათლების შემდგომი განახლება–განვითარება. ამაზე მიუთითებს ის ტრენინგები, რომლებიც გავიარე და სერთიფიკატები ავიღე:

2010 წლის მარტი–ვეტერინალურ-სანიტარული ზედამხედველობა.

2010 წლის ოქტომბერი–სამკურნალო-პროფილაქტიკური საქმიანობა.

2010 წლიდან კონკურსის წესით ჩავერთე საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის GIPA-ს სახელმწიფო პროგრამაში, კერძო ვეტერინარიის განვითარების საკითხები.

2010 წელს–ფრინველის გრიპის სახელმწიფო პროგრამის სერთიფიკატი–მეფრინველეობის ბიოდაცვის, წარმოებისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის საკითხებში.

2010 წელს კაჭრეთის პროფესიული გადამზადების ცენტრში კვალიფიკაციაზე კოლორადოს შტატის უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან ვიყავი და ავიღე სერთიფიკატი თემაზე „ცხოველთა დაავადებები“.

2010 წელს გავიარე სწავლება და ავიღე სერთიფიკატი–ბიზნეს მართვის უნარ-ჩვევები (მეწარმეობის სამართლებრივი საკითხები, ბიზნეს-დაგეგმარება, მარკეტინგი, საბუღალტრო აღრიცხვა).

2010 წლიდან ვარ სამეგრელო–ზემო სვანეთის ვეტერინარული ასოციაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი და გამგეობის წევრი.

* * *

ვეტერინარული ასოციაციის მიერ შეძენილიქნა თანამედროვე ტიპის მაღალი ტექნოლოგიური და უნიკალური ხელსაწყო-იარაღები, აპარატურები, მედიკამენტები და სხვა საჭირო ინვენტარი, რომელიც გამგეობის თითოეულ წევრს გადმოგვეცა.

* * *

არსებობს ვეტერინარიის დარგის განვითარების დიდი პერსპექტივები. შემუშავებულია სახელმწიფო პროგრამები მისი შემდგომი განვითარებისათვის, მაგრამ ამისათვის საჭიროა მასში ვეტერინარ სპეციალისტთა ჩართულობა, რათა მიღებული ხელსაწყო–იარაღები ფერმერულ მეურნეობებში გამოიყენონ.

საქართველოში ვეტერინარ სპეციალისტთა საშუალო ასაკმა 52 წელი შეადგინა. ეს ძალიან ცუდი მაჩვენებელია. ვფიქრობ, უნდა მოხდეს ახალგაზრდობის დაინტერესება და მომავალი პროფესიონალების აღზრდა.

* * *

ნათქვამია, „მედიცინა კურნავს ადამიანს, ვეტერინარია–კაცობრიობას“. ეს დევიზი ყველას უნდა გვახსოვდეს, განსაკუთრებით დარგის სპეციალისტებს. მე, როგორც ერთ-ერთი ვეტერინარ-ექიმი, მეცხოველეობის დარგის განვითარებისათვის ახალ მეთოდებს და ტექნოლოგიებს გამოვიყენებ. ფერმერულ მეურნეობებში მომუშავე სპეციალისტებისთვის შემიძლია ჩავატარო ტრენინგები, შევთავაზო მათ ახალი თანამედროვე აპარატებზე მუშაობის წესები და მათი გამოყენების მეთოდები.

* * *

უნდა ვუთხრა ფერმერებს, რომ მათ დროულად და მიზნობრივად უნდა განახორციელონ პროფილაქტიკურ–ვეტერინარული ღონისძიებები, უნდა მიიღონ სათანადო ცოდნა ცხოველთა დაავადებების და მათ წინააღმდეგ გასატარებელი პროფილაქტიკური ღონისძიებების შესახებ და ამაში აუცილებელია ვეტერინარი სპეციალისტის ჩართულობა, რომელიც მათ ვეტერინარული ღონისძიებების დაგეგმვაში დაეხმარება.

ფერმერის შემოსავლების გასაზრდელად ერთ-ერთი პირობაა, ყოველწლიურად მან მოახდინოს ვეტერინარული ღონისძიებების სწორი დაგეგმვა. ამას ბევრი ფერმერი თავს არიდებს, არ აკეთებს და პირუტყვს დაუმუშავებელს ტოვებს. ვეტექიმი ახსენდებათ მაშინ, როცა უკვე პირუტყვი განწირულია, ამ დროს მისი მკურნალობა უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე დროული პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება.

* * *

ძალიან მიყვარს ჩემი პროფესია. ზუსტად ვიცი, რომ იგი საქართველოში პერსპექტიული და მომავლის ნომერ პირველი დარგი გახდება. ბოლო პერიოდის განმავლობაში გადმომეცა უნიკალური სასწავლო ლიტერატურა თავისი ტაბულებით, სურათებით, თვალსაჩინო მასალებით. ვცდილობ მათ გამოყენებას ჩემს პრაქტიკულ საქმიანობაში. მაქვს სურვილი, ჩემმა შვილმა გააგრძელოს ჩემი პროფესია.

**მანანა შულაია**

დოკუმენტი

## ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
## დადგენილება N53
*2011 წლის 27 დეკემბერი ქ. ხობი*

**ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე „ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 30 მარტის N118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 2011 წლის 9 დეკემბრის N5453–II-ს საქართველოს კანონისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.**

„ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 30 მარტის N118 დადგენილებაში (გაზეთი „ახალი სამკუთხედი“ N11 28.04.2009 წ.) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების დანართის მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 9. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი

1. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადამხდელია:

ა) პირი, რომლიც ეწევა სამეწარმეო საქმიანობას ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობებით და ასეთი საქმიანობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ექვემდებარება ნებართვით რეგულირებას;

ბ) ლატარიის მომწყობი პირი (ორგანიზატორი), რომლიც ეწევა სამეწარმეო საქმიანობას „ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ეროვნული ლატარიის ფონდის მიერ ორგანიზებულ ტენდერში გამარჯვებული პირის გამოვლენამდე.

2. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ობიექტებია:

ა) სათამაშო მაგიდები და სათამაშო აპარატები;

ბ) წამახალისებელი გათამაშების საპრიზო ფონდი;

გ) სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობა;

დ) ლატარიის ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები;

ე) აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვით ორგანიზებული ობიექტის გარეთ განთავსებული, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის სალარო.

3. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება:

ა) სამორინეს თითოეულ სათამაშო მაგიდაზე - კვარტალში 15000 ლარი;

ბ) თითოეულ სათამაშო აპარატზე - კვარტალში 1500 ლარი;

გ) თითოეულ წამახალისებელ გათამაშებაზე - საპრიზო ფონდის 10%;

დ) სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ თამაშობაზე - კვარტალში 45000 ლარი;

ე) ლატარიების მოწყობაზე - ლატარიის ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების 10%;

ვ) აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვით ორგანიზებული ობიექტის გარეთ განთავსებული, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის თითოეულ სალაროზე - კვარტალში 3000 ლარი.

4. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის ადმინისტრირებას „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად უზრუნველყოფს შესაბამისი საგადასახადო ორგანო.“.

**მუხლი 2.**

ეს დადგენილება ძალაში შევიდეს 2012 წლის 3 იანვრიდან.

*საკრებულოს თავმჯდომარე*

**მამუკა ჭოხონელიძე**

## ხობის მუნიციპალიტეტი საკრებულოს
## დადგენილება N54
*2011 წლის 27 დეკემბერი ქ. ხობი*

**„ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 25 თებერვლის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 25 თებერვლის N26 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი, 110307104, 21.03.2011 წ.) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების დანართის მე-8 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში მშენებლობაზე ნებართვის შესახებ საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანების პროექტის შემუშავება; მშენებლობის პროექტის შეთანხმება, მშენებლობისთვის არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალების მომზადება, საპროექტო დოკუმენტაციის განხილვა, შეთანხმება და მშენებლობადამთავრებული ობიექტების ექსპლუატაციაში მიღება;“.

2. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

*საკრებულოს თავმჯდომარე*

**მამუკა ჭოხონელიძე**

## ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
## დადგენილება N55
*2011 წლის 27 დეკემბერი ქ. ხობი*

**„ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 25 თებერვლის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 25 თებერვლის N31 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი, 110307109, 21.03.2011 წ.) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილების დანართის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, დამრღვევი ფიზიკური ან/და იურიდიული პირების მიმართ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით და „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ზომების განხორციელება და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი დადგენილების გამოცემა;“;

ბ) დადგენილების დანართის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მ) მშენებლობადამთავრებულ ობიექტებთან დაკავშირებით შესაბამისი აქტის გამოცემა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილებით განსაზღვრული წესის შესაბამისად;“.

2. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

*საკრებულოს თავმჯდომარე*

**მამუკა ჭოხონელიძე**

## ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
## დადგენილება N107
*2011 წლის 27 დეკემბერი ქ. ხობი*

**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად:

1. დაფუძნდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა“.

2. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის–„ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის“ თანდართული წესდება.

3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის“ სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის ვალდებულება დაეკისროს იურიდიული პირის დირექტორს.

4. განკარგულება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხობის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ხობი. ცოტნე დადიანის ქ. N192).

*საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ჭოხონელიძე*

**დანართი**

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 27 დეკემბრის N107 განკარგულებისა

**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის–„ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის“ წესდება**

**მუხლი 1.**

**ზოგადი დებულებები**

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სრული სახელწოდებაა - „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა“ (შემდეგში - „სკოლა“).

2. სკოლა თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, „სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და ამ წესდების შესაბამისად.

3. სკოლა თავის საქმიანობას ახორციელებს განუსაზღვრელი ვადით.

4. სკოლას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო ანგარიში, ბეჭედი და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

5. სკოლა უფლებებს იძენს მისი შესაბამის ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან.

6. სკოლის იურიდიული მისამართია: ქ. ხობი. ცოტნე დადიანის N185.

**მუხლი 2. სკოლის დაფუძნება**

1. სკოლის დამფუძნებელია ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

2. სკოლის წესდებას ამტკიცებს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. სკოლის საქმიანობას საერთო ხელმძღვანელობას უწევს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

**მუხლი 3. სკოლის მიზნები და ამოცანები**

სკოლის მიზანია:

ა) ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში, სკოლის პროფილის შესაბამისად მათი მეთოდური აღზრდა და დაოსტატება;

ბ) ფეხბურთის სახეობაში ეროვნული ნაკრები გუნდების კანდიდატებისა და სელექციის მეშვეობით შერჩეული პერსპექტიული ჭაბუკი სპორტსმენების მზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისთვის რეზერვის მომზადება;

გ) ფეხბურთის სახეობაში თანამედროვე საწვრთნელი პროცესის დანერგვით, საკუთარი სპორტულ ღონისძიებათა კალენდრის შემუშავებითა და შესრულებით სპორტული რეზერვების მომზადების ეფექტური სისტემის შექმნა;

დ) სკოლის მოსწავლეებისთვის (სპორტსმენებისთვის) მუნიციპალიტეტისა და ეროვნული ნაკრები გუნდების წევრებისთვის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური და თანამედროვე საწვრთნელი ბაზის შექმნა;

ე) მოსწავლეების (სპორტსმენების) მომზადება ეროვნული ნაკრები გუნდების წევრობისა და წევრობის კანდიდატობისთვის;

ვ) სკოლის ნაკრები გუნდებისთვის სასწავლო-საწვრთნელი შეკრების ჩატარება და სხვადასხვა რანგის საერთაშორისო შეჯიბრში მონაწილეობის მიღება;

ზ) მაღალკვალიფიციური სპორტსმენების და მწვრთნელთა მომზადება;

თ) სკოლის მოსწავლეთათვის (სპორტსმენთათვის) თანამედროვე სტანდარტების დონეზე სასწავლო სპორტული პროცესის ორგანიზება, სპორტსმენთა წვრთნის და სოციალური პირობების (კვება, სასწავლო-საწვრთნელი შეკრება, სამედიცინო კონტროლი) შექმნა;

ი) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფეხბურთის პოპულარიზაციის მიზნით ფეხბურთის განვითარებისთვის აუცილებელი პირობების შექმნა და ფეხბურთის პროპაგანდა.

**მუხლი 4. სკოლის ადმინისტრაცია**

სკოლის ადმინისტრაცია შედგება დირექტორის, დირექტორის მოადგილის, ფინანსური მენეჯერისა და იურისტისგან, რომელთაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საკრებულოს თავმჯდომარე.

**მუხლი 5.**

**სკოლის ხელმძღვანელობა**

1. სკოლას ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საკრებულოს თავმჯდომარე.

2. სკოლის ხელმძღვანელობა და სრული წარმომადგენლობა ენიჭება დირექტორს, რომელიც უძღვება სკოლის საქმეებს.

3. დირექტორი:

ა) წარმართავს სკოლის საერთო საქმიანობას, ახორციელებს ადმინისტრაციისა და სკოლის საქმიანობის კოორდინაციას;

ბ) ზედამხედველობას ახორციელებს სკოლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაზე, პასუხისმგებელია ამ პროცესების ორგანიზაციაზე;

გ) სკოლაში შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის მიხედვით განსაზღვრავს და ამტკიცებს სკოლის საშტატო ნუსხას და სახელფასო ფონდს დამფუძნებელთან შეთანხმებით;

დ) დამფუძნებელთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სკოლის თანამშრომლებს;

ე) კანონმდებლობით დადგენილი წესით დებს გარიგებებს სკოლის სახელით;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს, ამტკიცებს სკოლის შინაგანაწესს, სამუშაო გეგმებს;

ზ) კანონმდებლობის შესაბამისად განკარგავს სკოლის ფინანსურ და მატერიალურ საშუალებებს;

თ) კანონის ფარგლებში დებს შრომით ხელშეკრულებებს და მუშაკთა მიმართ იყენებს წამახალისებელ და დისციპლინურ ზომებს;

ი) დამფუძნებელს წარუდგენს ანგარიშს საქმიანობის მიმდინარეობის შესახებ ყოველკვარტალურად;

კ) ანგარიშვალდებულია დამფუძნებლის წინაშე;

ლ) მინდობილობის გარეშე წარმოადგენს სკოლას ყველა ინსტანციაში;

მ) ახორციელებს სკოლის ფუნქციონირებისთვის აუცილებელ, კანონმდებლობით ნებადართულ სხვა საქმიანობას.

**მუხლი 6. სკოლის დაფინანსება**

1. სკოლის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:

ა) ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი თანხები;

ბ) გრანტები და შემოწირულობების სახით მიღებული შემოსავალი;

გ) დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული მოგება.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი ფინანსური სახსრები გამოიყენება მხოლოდ სკოლის წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად.

**მუხლი 7. სკოლის ქონება**

სკოლას უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, სარგებლობის უფლებით შეიძლება გადაეცეს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონება.

**მუხლი 8. სკოლის საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება**

სკოლა ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და წარუდგინოს დამფუძნებელს ადგილობრივ ბიუჯეტში ასახვის მიზნით.

**მუხლი 9. სახელმწიფო კონტროლი**

1. სკოლა ექვემდებარება სახელმწიფო კონტროლს, რაც გულისხმობს მის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.

2. სკოლის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს შესაბამისი სახელმწიფო ორგანო.

**მუხლი 10. სკოლის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი**

წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 11. სკოლის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია**

1. სკოლის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. სკოლის უფლებამოსილება წყდება მისი ლიკვიდაციის დასრულების ფაქტის რეგისტრაციის მომენტიდან.

3. ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება გადადის ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში.

4. ინფორმაცია ლიკვიდაციის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს.

**მუხლი 12. გარდამავალი დებულებანი**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა“ წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ სასპორტო სკოლის საფეხბურთო ჯგუფების უფლებამონაცვლეს.

*საკრებულოს თავმჯდომარე*

*მამუკა ჭოხონელიძე*

# ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ძირითადი საფინანსო დოკუმენტი — ბ ი უ ჯ ე ტ ი

## ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N55

*2011 წლის 27 დეკემბერი ქ. ხობი*

**ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ**

*„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, „საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:*

1. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ბალანსი თანახმად 1 დანართისა, მათ შორის:

ა) ბიუჯეტის შემოსავლები–6342,0 ათასი ლარით (აქედან: გადასახადები–5537,6 ათასი ლარი; გრანტები–380,7 ათასი ლარი; სხვა შემოსავლები–423,7 ათასი ლარი);

ბ) ბიუჯეტის ხარჯები–5390,6 ათასი ლარით (აქედან: შრომის ანაზღაურება–1412,5 ათასი ლარი; საქონელი და მომსახურება–1102,6 ათასი ლარი; პროცენტი–69,1 ათასი ლარი; სუბსიდიები–2433,9 ათასი ლარი; სოციალური უზრუნველყოფა–372,5 ათასი ლარი);

გ) საოპერაციო სალდო–901,4 ათასი ლარით;

დ) არაფინასური აქტივების ცვლილება–903,6 ათასი ლარით;

ე) მთლიანი სალდო - 47,8 ათასი ლარით;

ვ) ვალდებულებების ცვლილება (კლება)–47,8 ათასი ლარით;

2. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანახმად 2 დანართისა, მათ შორის:

ა) შემოსულობები–6586,0 ათასი ლარით (აქედან: შემოსავლები–6342,0 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების კლება–244,0 ათასი ლარი);

ბ) გადასახდელები–6586,0 ათასი ლარით (აქედან: ხარჯები - 5390,6 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდა–1147,6 ათასი ლარი; ვალდებულებების კლება–47,8 ათასი ლარი);

გ) ნაშთის ცვლილება–0,0 ათასი ლარით;

3. ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვროს თანახმად 3 დანართისა.

4. ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების საბიუჯეტო კლასიფიკაცია განისაზღვროს თანახმად 4 დანართისა.

5. ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია განისაზღვროს თანახმად 5 დანართისა, მათ შორის:

ა) საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 2080,2 ათასი ლარით;

ბ) თავდაცვა–97,4 ათასი ლარით;

გ) საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 471,3 ათასი ლარით;

დ) ეკონომიკური საქმიანობა–299,8 ათასი ლარით;

ე) გარემოს დაცვა–691,0 ათასი ლარით;

ვ) საბინაო კომუნალური მეურნეობა–404,2 ათასი ლარით;

ზ) ჯანმრთელობის დაცვა–129,9 ათასი ლარით;

თ) დასვენება, კულტურა და რელიგია–870,2 ათასი ლარით

ი) განათლება–1169,5 ათასი ლარით;

კ) სოციალური დაცვა–372,5 ათასი ლარით;

6. ამ დადგენილების გამოქვეყნებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ხობის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 31 დეკემბრის 19 დადგენილება.

7. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2012 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

*საკრებულოს თავმჯდომარე*
**მამუკა ჭოხონელიძე**

### დანართი 1

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2011 წლის 27 დეკემბრის 56 დადგენილებისა

**ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ბალანსი**

| დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | 2011 წლის გეგმა | 2012 წლის გეგმა |
|---|---|---|
| *შემოსავლები* | *7 188,2* | *6 342,0* |
| გადასახადები | 5 180,9 | 5 537,6 |
| გრანტები | 1 482,9 | 380,7 |
| სხვა შემოსავლები | 524,4 | 423,7 |
| **ხარჯები** | **5 055,6** | **5 390,6** |
| შრომის ანაზღაურება | 1 324,8 | 1 412,5 |
| საქონელი და მომსახურება | 986,4 | 1 102,6 |
| პროცენტი | 85,0 | 69,1 |
| სუბსიდიები | 2 353,3 | 2 433,9 |
| გრანტები | 0,0 | 0,0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 306,1 | 372,5 |
| სხვა ხარჯები | 0,0 | 0,0 |
| *საოპერაციო სალდო* | *2 132,6* | *951,4* |
| **არაფინანსური აქტივების ცვლილება** | **2 393,1** | **903,6** |
| ზრდა | 2 493,1 | 1 147,6 |
| კლება | 100,0 | 244,0 |
| *მთლიანი სალდო* | *2 393,1* | *903,6* |
| *ფინანსური აქტივების ცვლილება* | -301,8 | 0,0 |
| *ზრდა* | *76,2* | *0,0* |
| ვალუტა და დეპოზიტები | 76,2 | |
| სესხები | 0,0 | 0,0 |
| აქციები და სხვა კაპიტალი | | |
| კლება | 378,0 | 0,0 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 378,0 | |
| სესხები | 0,0 | 0,0 |
| აქციები და სხვა კაპიტალი | 0,0 | 0,0 |
| *ვალდებულებების ცვლილება* | *-41,3* | *-47,8* |
| ზრდა | 0,0 | 0,0 |
| საგარეო | 0,0 | 0,0 |
| საშინაო | 0,0 | 0,0 |
| კლება | 41,3 | 47,8 |
| საგარეო | | |
| საშინაო | 41,3 | 47,8 |
| *ბალანსი* | *0,0* | *0,0* |

*საკრებულოს თავმჯდომარე*
**მამუკა ჭოხონელიძე**

### დანართი 2

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2011 წლის 27 დეკემბრის N56 დადგენილებისა

**ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება**

| დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | 2011 წლის გეგმა | 2012 წლის გეგმა |
|---|---|---|
| *შემოსულობები* | *7 288,2* | *6 586,0* |
| შემოსავლები | 7 188,2 | 6 342,0 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 100,0 | 244,0 |
| ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით) | 0,0 | 0,0 |
| ვალდებულებების ზრდა | 0,0 | 0,0 |
| **გადასახდელები** | **7 590,0** | **6 586,0** |
| ხარჯები | 5 055,6 | 5 390,6 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 2 493,1 | 1 147,6 |
| ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით) | 0,0 | 0,0 |
| ვალდებულებების კლება | 41,3 | 47,8 |
| **ნაშთის ცვლილება** | **-301,8** | **0,0** |

*საკრებულოს თავმჯდომარე*
**მამუკა ჭოხონელიძე**

### დანართი 3

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2011 წლის 27 დეკემბრის N56 დადგენილებისა

**ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობები**

| შემოსულობების კოდები | დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | 2011 წლის გეგმა | 2012 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| | შემოსულობები | 7 288,2 | 6 586,0 |
| | შემოსავლები | 7 188,2 | 6 342,0 |
| | არაფინანსური აქტივების კლება | 100,0 | 244,0 |
| | ფინანსური აქტივების კლება | 0,0 | 0,0 |
| | ვალდებულებების ზრდა | 0,0 | 0,0 |
| | შემოსავლები | 7 188,2 | 6 342,0 |
| 11 | გადასახადები | 5180,9 | 5537,6 |
| 11111 | საშემოსავლო გადასახადი | | |
| 11311 | ქონების გადასახადი | 5180,9 | 5537,6 |
| 113111 | საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 3060,0 | 3518,0 |
| 113112 | უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | | |
| 113113 | ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | | |
| 113114 | სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 80,0 | 132,0 |
| 113115 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 2 040,9 | 1 887,6 |
| 1136 | სხვა გადასახადები ქონებაზე | | |
| 116 | სხვა გადასახადები | | |
| 13 | გრანტები | 1482,9 | 380,7 |
| 131 | საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები | | |

7

| | | | |
|---|---|---|---|
| 132 | უცხო ქვეყნების მთავრობებიდან ან მათი წარმომადგენლობებ-იდან მიღებული გრანტები | | |
| 133 | სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონის ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები | 1 482,9 | 380,7 |
| | გათანაბრებითი ტრანსფერი | | |
| | მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად | 180,0 | 183,0 |
| | სპეციალური ტრანსფერი | 1 302,9 | 197,7 |
| | მ.შ. ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად | 722,6 | |
| | მ.შ. საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები | | |
| | მ.შ. საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები | | |
| | მ.შ. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრები | 580,3 | 197,7 |
| 14 | სხვა შემოსავლები | 524,4 | 423,7 |
| 141 | შემოსავლები საკუთრებიდან | 113,0 | 85,0 |
| 1411 | პროცენტები | | |
| | დივიდენდები | | |
| | რენტა | 113,0 | 85,0 |
| 14151 | მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის | 107,0 | 80,0 |
| 14153 | მოსაკრებელი ნადირობის ნებართვაზე | | |
| 14154 | შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან | 6,0 | 5,0 |
| 14159 | სხვა არაკლასიფიცირებული რენტა | | |
| 142 | საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია | 178,7 | 189,0 |
| 1422 | ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები | 48,0 | 29,8 |
| 14222 | საერთო-სახელმწიფოე-ბრივი სალიცენზიო მოსაკრებელი | | |
| 14223 | სანებართვო მოსაკრებელი | 16,1 | 10,0 |


| | | | |
|---|---|---|---|
| 1422 | ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები | 48,0 | 29,8 |
| 14222 | საერთო-სახელმწიფოე-ბრივი სალიცენზიო მოსაკრებელი | | |
| 14223 | სანებართვო მოსაკრებელი | 16,1 | 10,0 |


| | | | |
|---|---|---|---|
| 14227 | სახელმწიფო ბაჟი | | |
| 14229 | საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი | | |
| 142210 | სატენდერო მოსაკრებელი | | |
| 142212 | სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი | | |
| 142213 | სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი | | |
| 142215 | კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არიალის ინფრასტრუქტურის ადგილობრივი მოსაკრებელი | | |
| 142216 | ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის | | |
| 142214 | ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის | 31,9 | 19,8 |
| 142299 | სხვა არაკლასიფიცირებუ-ლი მოსაკრებელი | | |
| 1423 | არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება | 130,7 | 159,2 |
| 14231 | შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან | | |
| 14232 | შემოსავლები მომსახურების გაწევიდან | 130,7 | 159,2 |
| 143 | ჯარიმები,სანქციები და საურავები | 230,0 | 149,7 |
| 144 | ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე | | |
| 145 | შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები | 2,7 | |
| **31** | **არაფინანსური აქტივების კლება** | **100,0** | **244,0** |
| 311 | ძირითადი აქტივები | | |
| 314 | არაწარმოებული აქტივები | 100,0 | 244,0 |
| | მიწა | 100,0 | 244,0 |
| | სხვა ბუნებრივი აქტივები | | |
| **32** | **ფინანსური აქტივების კლება** | **0,0** | **0,0** |
| | სესხები | | |
| | აქციები და სხვა კაპიტალი | | |
| | ვალდებულებების ზრდა | 0,0 | 0,0 |
| | საგარეო | | |
| | საშინაო | | |

*საკრებულოს თავმჯდომარე*
**მამუკა ჭოხონელიძე**

**დანართი 4**
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2011 წლის 27 დეკემბრის N56 დადგენილებისა

**ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების საბიუჯეტო კლასიფიკაცია**

| ფუნქციონალური კოდი | ორგ. კოდი | დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | 2011 წლის გეგმა | 2012 წლის გეგმა |
|---|---|---|---|---|
| | *სულ* | *ხობის მუნიციპალიტეტი* | *7 590,0* | *6 586,0* |
| | | **მომუშავეთა რიცხოვნობა** | **203,0** | **495,5** |
| | | **ხარჯები** | **5055,6** | **5390,6** |
| | | **შრომის ანაზღაურება** | **1 324,8** | **1 412,5** |
| | | **საქონელი და მომსახურება** | **986,4** | **1 102,6** |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | 38,1 | 38,9 |
| | | მივლინებები | 10,3 | 10,9 |
| | | ოფისის ხარჯები | 257,7 | 299,1 |
| | | წარმომადგენლობით-ი ხარჯები | 12,0 | 12,9 |
| | | კვების ხარჯები | 0,0 | 0,0 |
| | | სამედიცინო ხარჯები | 0,1 | 0,0 |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | 13,2 | 16,9 |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | 187,0 | 221,0 |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | 468,0 | 502,9 |
| | | **პროცენტი** | **85,0** | **69,1** |
| | | **სუბსიდიები** | **2 353,3** | **2 433,9** |
| | | **გრანტები** | **0,0** | **0,0** |
| | | **სოციალური უზრუნველყოფა** | **306,1** | **372,5** |
| | | **სხვა ხარჯები** | **0,0** | **0,0** |
| | | **არაფინანსური აქტივების ზრდა** | **2 493,1** | **1 147,6** |
| | | **ფინანსური აქტივების ზრდა** | **0,0** | **0,0** |
| | | **ვალდებულებების კლება** | **41,3** | **47,8** |
| | *01 00* | *ხობის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობ-ითი და აღმასრულებელი ორგანოები* | *1 810,0* | *2 080,2* |
| | | **მომუშავეთა რიცხოვნობა** | **160,0** | **158,0** |
| | | **ხარჯები** | **1 716,9** | **1 872,9** |
| | | **შრომის ანაზღაურება** | **1 073,3** | **1 145,2** |
| | | **საქონელი და მომსახურება** | **558,6** | **658,6** |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | 27,2 | 28,0 |
| | | მივლინებები | 7,4 | 8,0 |
| | | ოფისის ხარჯები | 202,0 | 246,3 |
| | | წარმომადგენლობით-ი ხარჯები | 12,0 | 12,9 |
| | | კვების ხარჯები | 0,0 | 0,0 |
| | | სამედიცინო ხარჯები | 0,1 | 0,0 |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | 0,0 | 0,0 |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | 120,5 | 146,1 |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | 189,4 | 217,3 |
| | | **პროცენტი** | **85,0** | **69,1** |
| | | **სუბსიდიები** | **0,0** | **0,0** |
| | | **გრანტები** | **0,0** | **0,0** |
| | | **სოციალური უზრუნველყოფა** | **0,0** | **0,0** |
| | | **სხვა ხარჯები** | **0,0** | **0,0** |
| | | **არაფინანსური აქტივების ზრდა** | **51,8** | **159,5** |
| | | **ფინანსური აქტივების ზრდა** | **0,0** | **0,0** |
| | | **ვალდებულებების კლება** | **41,3** | **47,8** |

7 <<<<<<<<<<<<

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | *01 01* | *ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო* | *362,0* | *471,1* |
| | | **მომუშავეთა რიცხოვნობა** | 27,0 | 25,0 |
| 70111 | | **ხარჯები** | 354,3 | 385,5 |
| | | **შრომის ანაზღაურება** | 236,3 | 237,6 |
| | | **საქონელი და მომსახურება** | 118,0 | 147,9 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | |
| | | მივლინებები | 1,2 | 1,2 |
| | | ოფისის ხარჯები | 48,9 | 66,3 |
| | | წარმომადგენლობით-ი ხარჯები | | |
| | | კვების ხარჯები | | |
| | | სამედიცინო ხარჯები | | |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | | |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | 58,4 | 68,8 |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | 9,5 | 11,6 |
| | | **პროცენტი** | | |
| | | **სუბსიდიები** | | |
| | | **გრანტები** | | |
| | | **სოციალური უზრუნველყოფა** | | |
| | | **სხვა ხარჯები** | | |
| 70111 | | **არაფინანსური აქტივების ზრდა** | 7,7 | 85,6 |
| | | **ფინანსური აქტივების ზრდა** | | |
| | | **ვალდებულებების კლება** | | |
| | *01 02* | *ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა* | *1 214,8* | *1 379,5* |
| | | **მომუშავეთა რიცხოვნობა** | **133,0** | **133,0** |
| 70111 | | ხარჯები | 1 170,7 | 1 305,6 |
| | | შრომის ანაზღაურება | 837,0 | 907,6 |
| | | საქონელი და მომსახურება | 333,7 | 398,0 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | 27,2 | 28,0 |
| | | მივლინებები | 6,2 | 6,8 |
| | | ოფისის ხარჯები | 153,1 | 180,0 |
| | | წარმომადგენლობით-ი ხარჯები | 0,0 | 0,0 |
| | | კვების ხარჯები | 0,0 | 0,0 |
| | | სამედიცინო ხარჯები | 0,1 | 0,0 |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | 0,0 | 0,0 |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | 62,1 | 77,3 |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | 85,0 | 105,9 |
| | | პროცენტი | 0,0 | 0,0 |
| | | სუბსიდიები | 0,0 | 0,0 |
| | | გრანტები | 0,0 | 0,0 |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | 0,0 | 0,0 |
| | | სხვა ხარჯები | 0,0 | 0,0 |
| 70111 | | არაფინანსური აქტივების ზრდა | 44,1 | 73,9 |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | 0,0 | 0,0 |
| | | ვალდებულებების კლება | 0,0 | 0,0 |
| | *01 02 01* | *ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური* | *461,2* | *553,3* |
| | | **მომუშავეთა რიცხოვნობა** | **25,0** | **25,0** |
| | | ხარჯები | 427,8 | 488,6 |
| | | შრომის ანაზღაურება | 200,5 | 218,4 |
| | | საქონელი და მომსახურება | 227,3 | 270,2 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | 13,6 | 12,6 |
| | | მივლინებები | 2,4 | 2,4 |
| | | ოფისის ხარჯები | 83,1 | 90,9 |
| | | წარმომადგენლობით-ი ხარჯები | | |
| | | კვების ხარჯები | | |
| | | სამედიცინო ხარჯები | 0,1 | |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | | |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | 43,1 | 59,6 |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | 85,0 | 104,7 |
| | | პროცენტი | | |
| | | სუბსიდიები | | |
| | | გრანტები | | |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | | |
| | | სხვა ხარჯები | | |
| | | არაფინანსური აქტივების ზრდა | 33,4 | 64,7 |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ვალდებულებების კლება | | |
| | *01 02 02* | *ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯ-ეტო სამსახური* | *82,7* | *89,8* |
| | | **მომუშავეთა რიცხოვნობა** | **10,0** | **10,0** |
| | | ხარჯები | 78,6 | 85,6 |
| | | შრომის ანაზღაურება | 69,6 | 73,8 |
| | | საქონელი და მომსახურება | 9,0 | 11,8 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | |
| | | მივლინებები | 1,5 | 1,5 |
| | | ოფისის ხარჯები | 7,5 | 9,1 |
| | | წარმომადგენლობით-ი ხარჯები | | |
| | | კვების ხარჯები | | |
| | | სამედიცინო ხარჯები | | |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | | |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | | |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | | 1,2 |
| | | პროცენტი | | |
| | | სუბსიდიები | | |
| | | გრანტები | | |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | | |
| | | სხვა ხარჯები | | |
| | | არაფინანსური აქტივების ზრდა | 4,1 | 4,2 |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ვალდებულებების კლება | | |
| | *01 02 03* | *ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური* | *102,4* | *103,2* |
| | | **მომუშავეთა რიცხოვნობა** | **10,0** | **10,0** |
| | | ხარჯები | 98,5 | 101,9 |
| | | შრომის ანაზღაურება | 70,2 | 71,7 |
| | | საქონელი და მომსახურება | 28,3 | 30,2 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | 7,5 | 8,4 |
| | | მივლინებები | 0,9 | 1,2 |
| | | ოფისის ხარჯები | 8,1 | 7,8 |
| | | წარმომადგენლობით-ი ხარჯები | | |
| | | კვების ხარჯები | | |
| | | სამედიცინო ხარჯები | | |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | | |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | 11,8 | 12,8 |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | | |
| | | პროცენტი | | |
| | | სუბსიდიები | | |
| | | გრანტები | | |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | | |
| | | სხვა ხარჯები | | |
| | | არაფინანსური აქტივების ზრდა | 3,9 | 1,3 |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ვალდებულებების კლება | | |
| | *01 02 04* | *ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახური* | *36,6* | *40,7* |
| | | **მომუშავეთა რიცხოვნობა** | **5,0** | **5,0** |
| | | ხარჯები | 35,5 | 40,7 |
| | | შრომის ანაზღაურება | 32,5 | 37,1 |
| | | საქონელი და მომსახურება | 3,0 | 3,6 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | |
| | | მივლინებები | 0,5 | 0,5 |
| | | ოფისის ხარჯები | 2,5 | 3,1 |
| | | წარმომადგენლობით-ი ხარჯები | | |
| | | კვების ხარჯები | | |
| | | სამედიცინო ხარჯები | | |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | | |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | | |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | | |
| | | პროცენტი | | |
| | | სუბსიდიები | | |
| | | გრანტები | | |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | | |
| | | სხვა ხარჯები | | |
| | | არაფინანსური აქტივების ზრდა | 1,1 | |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ვალდებულებების კლება | | |

>>>>>>>>>> 9

8 <<<<<<<<<<<

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | *01 02 05* | ***ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის,ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური*** | *54,7* | *58,1* |
| | | **მომუშავეთა რიცხოვნობა** | **7,0** | **7,0** |
| | | ხარჯები | 54,1 | 56,7 |
| | | შრომის ანაზღაურება | 50,0 | 51,9 |
| | | საქონელი და მომსახურება | 4,1 | 4,8 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | |
| | | მივლინებები | 0,6 | 0,6 |
| | | ოფისის ხარჯები | 3,5 | 4,2 |
| | | წარმომადგენლობით-ი ხარჯები | | |
| | | კვების ხარჯები | | |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | 65,0 | 60,0 |
| | | სხვა ხარჯები | | |
| 7109 | | არაფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ვალდებულებების კლება | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ***08 08*** | ***ხანძრითა და სტიქიით დაზარალებულთა დახმარება*** | ***88,0*** | ***68,0*** |
| | | **მომუშავეთა რიცხოვნობა** | | |
| 7076 | | ხარჯები | 88,0 | 68,0 |
| | | შრომის ანაზღაურება | | |
| | | საქონელი და მომსახურება | 0,0 | 0,0 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | |
| | | მივლინებები | | |
| | | ოფისის ხარჯები | | |
| | | წარმომადგენლობით-ი ხარჯები | | |
| | | კვების ხარჯები | | |
| | | სამედიცინო ხარჯები | | |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | | |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | | |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | | |
| | | პროცენტი | | |
| | | სუბსიდიები | | |
| | | გრანტები | | |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | 88,0 | 68,0 |
| | | სხვა ხარჯები | | |
| 7076 | | არაფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ვალდებულებების კლება | | |

***საკრებულოს თავმჯდომარე***
**მამუკა ჭოხონელიძე**

16

15 <<<<<<<<<<<

## დოკუმენტი

**დანართი 5**

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2011 წლის 27 დეკემბრის N56 დადგენილებისა

**ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია**

| ფუნქციონალური კოდი | დასახელება | 2011 წლის გეგმა | 2012 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| 701 | საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება | 1 810,0 | 2 080,2 |
| 7011 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა,საგარეო ურთიერთობები | 1 671,7 | 1 950,4 |
| 70111 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა | 1 576,8 | 1 850,6 |
| 70112 | ფინანსური და ფისკალური საქმიანობა | 94,9 | 99,8 |
| 70113 | საგარეო ურთიერთობები | | |
| 7012 | საგარეო ეკონომიკური დახმარება | 0,0 | 0,0 |
| 70121 | ეკონომიკური დახმარება განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს | | |
| 70122 | საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით გაწეული ეკონომიკური დახმარება | | |
| 7013 | საერთო დანიშნულების მომსახურება | 0,0 | 0,0 |
| 70131 | საერთო საკადრო მომსახურება | | |
| 70132 | საერთო დანიშნულების დაგეგმვა და სტატისტიკური მომსახურება | | |
| 70133 | საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება | 0,0 | 0,0 |
| 7014 | ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევები | | |
| 7015 | გამოყენებითი კვლევები საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში | | |
| 7016 | ვალთან დაკავშირებული ოპერაციები | 126,3 | 116,9 |
| 7017 | საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადები მთავრობის სხვადასხვა დონეს შორის | | |
| 7018 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში | 12,0 | 12,9 |
| 702 | თავდაცვა | 94,7 | 97,4 |
| 7021 | შეიარაღებული ძალები | 94,7 | 97,4 |
| 7022 | სამოქალაქო თავდაცვა | 0,0 | 0,0 |
| 7023 | საგარეო სამხედრო დახმარება | | |
| 7024 | გამოყენებითი კვლევები თავდაცვის სფეროში | | |
| 7025 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა თავდაცვის სფეროში | 0,0 | 0,0 |
| 703 | საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 344,2 | 471,3 |
| 7031 | პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა | 65,5 | 168,6 |
| 7032 | ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა | 278,7 | 302,7 |
| 7033 | სასამართლოები და პროკურატურა | | |
| 7034 | სასჯელაღსრულების დაწესებულებები | | |
| 7035 | გამოყენებითი კვლევები საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში | | |
| 7036 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში | | |
| 704 | ეკონომიკური საქმიანობა | 1 355,4 | 299,8 |
| 7041 | საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა | 0,0 | 0,0 |
| 70411 | საერთო ეკონომიკური და კომერციული საქმიანობა | | |
| 70412 | შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა | | |
| 7042 | სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა | 613,5 | 171,8 |
| 70421 | სოფლის მეურნეობა | 613,5 | 171,8 |
| 70422 | სატყეო მეურნეობა | | |
| 70423 | მეთევზეობა და მონადირეობა | | |
| 7043 | სათბობი და ენერგეტიკა | 0,0 | 0,0 |
| 70431 | ნახშირი და სხვა სახის მყარი მინერალური საწვავი | | |
| 70432 | ნავთობი და ბუნებრივი აირი | | |
| 70433 | ბირთვული საწვავი | | |
| 70434 | სხვა სახის საწვავი | | |
| 70435 | ელექტროენერგეტიკა | | |
| 70436 | არაელექტრული (მზის, ქარის,წყლის) ენერგია | | |
| 7044 | სამთომომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა | 0,0 | 0,0 |
| 70441 | მინერალური რესურსების მოპოვება, მინერალური საწვავის გარდა | | |
| 70442 | გადამამუშავებელი მრეწველობა | | |
| 70443 | მშენებლობა | | |
| 7045 | ტრანსპორტი | 741,9 | 128,0 |
| 70451 | საავტომობილო ტრანსპორტი და გზები | 741,9 | 128,0 |
| 70452 | საზღვაო ტრანსპორტი | | |
| 70453 | სარკინიგზო ტრანსპორტი | | |
| 70454 | საჰაერო ტრანსპორტი | | |
| 70455 | მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები | 0,0 | 0,0 |
| 7046 | კავშირგაბმულობა | | |
| 7047 | ეკონომიკის სხვა დარგები | 0,0 | 0,0 |
| 70471 | ვაჭრობა,მარაგების შექმნა,შენახვა და დასაწყობება | | |
| 70472 | სასტუმროები და რესტორნები | | |
| 70473 | ტურიზმი | | |
| 70474 | მრავალმიზნობრივი განვითარების პროექტები | | |
| 7048 | გამოყენებითი კვლევები ეკონომიკური საქმიანობის სფეროში | 0,0 | 0,0 |
| 70481 | გამოყენებითი კვლევები საერთო ეკონომიკურ, კომერციულ და შრომით რესურსებთან დაკავშირებულ საქმიანობაში | | |
| 70482 | გამოყენებითი კვლევები სოფლის მეურნეობაში,სატყეო მეურნეობაში, მეთევზეობასა და მონადირეობაში | | |
| 70483 | გამოყენებითი კვლევები სათბობსა და ენერგეტიკაში | | |
| 70484 | გამოყენებითი კვლევები სამთომომპოვებელ და გადამამუშავებელ მრეწველობასა და მშენებლობაში | | |
| 70485 | გამოყენებითი კვლევები ტრანსპორტის სფეროში | | |
| 70486 | გამოყენებითი კვლევები კავშირგაბმულობის სფეროში | | |
| 70487 | გამოყენებითი კვლევები სხვა სახის ეკონომიკურ საქმიანობაში | | |
| 7049 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში | | |
| 705 | გარემოს დაცვა | 823,8 | 691,0 |
| 7051 | ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება | 511,7 | 578,9 |
| 7052 | ჩამდინარე წყლების მართვა | 312,1 | 112,1 |
| 7053 | გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა | | |
| 7054 | ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა | | |
| 7055 | გამოყენებითი კვლევები გარემოს დაცვის სფეროში | | |
| 7056 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში | | |
| 706 | საბინაო-კომუნალური მეურნეობა | 618,0 | 404,2 |
| 7061 | ბინათმშენებლობა | 0,0 | 0,0 |
| 7062 | კომუნალური მეურნეობის განვითარება | 437,9 | 305,0 |
| 7063 | წყალმომარაგება | 147,0 | 99,2 |
| 7064 | გარე განათება | 33,1 | 0,0 |
| 7065 | გამოყენებითი კვლევები საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში | | |
| 7066 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში | | |
| 707 | ჯანმრთელობის დაცვა | 129,8 | 129,9 |
| 7071 | სამედიცინო პროდუქცია, მოწყობილობები და აპარატები | | |
| 70711 | ფარმაცევტული პროდუქცია | | |
| 70712 | სხვა სამედიცინო პროდუქცია | | |
| 70713 | თერაპიული დანიშნულების მოწყობილობები და აპარატები | | |
| 7072 | ამბულატორიული მომსახურება | 0,0 | 0,0 |
| 70721 | ზოგადი პროფილის ამბულატორიული მომსახურება | | |
| 70722 | სპეციალიზებული ამბულატორიული მომსახურება | | |
| 70723 | სტომატოლოგიური მომსახურება | | |
| 70724 | საშუალო სამედიცინო პერსონალის მომსახურება | | |
| 7073 | საავადმყოფოების მომსახურება | 0,0 | 0,0 |
| 70731 | ზოგადი პროფილის საავადმყოფოების მომსახურება | | |
| 70732 | სპეციალიზებული საავადმყოფოების მომსახურება | | |
| 70733 | სამედიცინო ცენტრებისა და სამშობიარო სახლების მომსახურება | | |
| 70734 | სანატორიუმებისა და გამაჯანსაღებელი სახლების მომსახურება | | |
| 7074 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 129,8 | 129,9 |
| 7075 | გამოყენებითი კვლევები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში | | |
| 7076 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში | 0,0 | 0,0 |
| 708 | დასვენება,კულტურა და რელიგია | 912,5 | 870,2 |
| 7081 | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში | 359,5 | 343,6 |
| 7082 | მომსახურება კულტურის სფეროში | 494,5 | 460,0 |
| 7083 | ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა | 40,0 | 45,5 |
| 7084 | რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა | 12,5 | 10,4 |
| 7085 | გამოყენებითი კვლევები დასვენების,კულტურისა და რელიგიის სფეროში | 6,0 | 10,7 |
| 7086 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში | | |
| 709 | განათლება | 1 195,5 | 1 169,5 |
| 7091 | სკოლამდელი აღზრდა | 691,3 | 710,3 |
| 7092 | ზოგადი განათლება | 121,8 | 45,0 |
| 70921 | დაწყებითი ზოგადი განათლება | | |
| 70922 | საბაზო ზოგადი განათლება | | |
| 70923 | საშუალო ზოგადი განათლება | | |
| 7093 | პროფესიული განათლება | 55,2 | 96,4 |
| 7094 | უმაღლესი განათლება | 0,0 | 0,0 |
| 70941 | უმაღლესი პროფესიული განათლება | | |
| 70942 | უმაღლესი აკადემიური განათლება | | |
| 7095 | უმაღლესისშემდგომი განათლება | | |
| 7096 | განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება | | |
| 7097 | გამოყენებითი კვლევები განათლების სფეროში | | |
| 7098 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში | 327,2 | 317,8 |
| 710 | სოციალური დაცვა | 306,1 | 372,5 |
| 7101 | ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა | 0,0 | 90,0 |
| 71011 | ავადმყოფთა სოციალური დაცვა | 0,0 | 90,0 |
| 71012 | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა | | |
| 7102 | ხანდაზმულთა სოციალური დაცვა | 79,5 | 84,5 |
| 7103 | მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა | 5,0 | 5,0 |
| 7104 | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 221,6 | 193,0 |
| 7105 | უმუშევართა სოციალური დაცვა | | |
| 7106 | საცხოვრებლით უზრუნველყოფა | | |
| 7107 | სოციალური გაუცხოების საკითხები,რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას | | |
| 7108 | გამოყენებითი კვლევები სოციალური დაცვის სფეროში | | |
| 7109 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში | 0,0 | 0,0 |
| | **სულ** | **7 590,0** | **6 586,0** |

*საკრებულოს თავმჯდომარე*
**მამუკა ჭოხონელიძე**

# ხობის მუნიციპალიტეტში

## შეხვედრა ღვაწლმოსილ ხობელებთან



ხობის კულტურის სახლში მოეწყო შეხვედრა მუნიციპალიტეტის ღვაწლმოსილ ადამიანებთან. მოწვეულთა შორის იყვნენ განათლების, კულტურის, სპორტის, მედიცინის სფეროს, საჯარო სამსახურებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლები. მათ შობა-ახალი წელი მიულოცეს და წარმატებები უსურვეს საქართველოს პარლამენტში მაჟორიტარმა დეპუტატმა გოდერძი ბუკიამ, საკრებულოს თავმჯდომარემ მამუკა ჭოხონელიძემ, მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოგა ღურწკაიამ.

ხობელ სპორტსმენებს, დამსახურებულ მწვრთნელებს სპეციალური ჯილდოები გადაეცათ.

## ხობში წყალმომარაგების გასაუმჯობესებლად რადიკალური ცვლილებები იგეგმება

ხობის მუნიციპალიტეტში „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების“ კომპანიამ წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციისათვის დაიწყო არსებული პრობლემების შესწავლა. პირველ ეტაპზე გათვალისწინებულია არსებულ ქსელში წნევის მატებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება, ექსპლუატაციიდან გასული მილების დემონტაჟი და შესაბამისად ახალი მილებით ჩანაცვლება. სამუშაოები ეტაპობრივად განხორციელდება იმ კონკრეტული მოთხოვნის შესაბამისად, რასაც ადგილობრივი ხელისუფლება წყალმომარაგების გასაუმჯობესებლად გეგმავს.

## სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე ბუნებრივად მოზარდი წიწვოვანი მცენარეების მოჭრა იკრძალება

რეალიზაციის მიზნით,სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე ბუნებრივად მოზარდი წიწვოვანი ხეების უკანონო მოპოვება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 64-ე და 1282 მუხლების მიხედვით ისჯება და კანონდამრღვევს



საჯარიმო სანქციები დაეკისრება. იმ შემთხვევაში თუ წიწვოვანი მცენარეების მოპოვება კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთიდან ან ხელოვნურად გაშენებული სანერგეებიდან ხდება, მათი საქართველოს ტერიტორიაზე ტრანსპორტირებისთვის სავალდებულოა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ გაცემული ხე-მცენარეების ადგილწარმოშობის ცნობა.

## შავი ზღვის ყულევის ტერმინალის საქველმოქმედო აქცია

ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი „შავი ზღვის ყულევის ტერმინალი“ დაარსების დღიდან გარდა წარმატებული ინვესტიციისა, სხვადასხვა მიმართულებით ეწევა საქველმოქმედო საქმიანობას. საახალწლო დღეებში ტერმინალის ხელმძღვანელობა ტრადიციულად ესტუმრა ყულევის საჯარო სკოლას, სადაც გამართულ საინტერესო ღონისძიებაზე სკოლის მოსწავლეებსა და პედაგოგიურ კოლექტივს გადასცა საჩუქრები. სკოლისათვის აუცილებელი ტექნიკა გადაეცა ხობის მეორე საჯარო სკოლას. სპეციალური საახალწლო საჩუქრები მიიღეს სოციალურად დაუცველმა ბენეფიციარებმა.

## სადღესასწაულო ღონისძიება — „საახალწლო იკებანა“

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხობის რაიონული ორგანიზაციის პატრონაჟით 5 იანვარს, საახალწლო ღონისძიების პროგრამის ფარგლებში ქალაქ ხობის კულტურის სახლის დიდ დარბაზში, ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურისა და ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ორგანიზებით გაიმართა სადღესასწაულო ღონისძიება - „საახალწლო იკებანა“. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ და მუნიციპალიტეტის გამგებელმა დაათვალიერეს კულტურის სახლის ფოიეში საახალწლო თემატიკაზე შექმნილი ხელთნაკეთი ნამუშევრების გამოფენა. ღონისძიების დასკვნით ნაწილში გაიმართა კონცერტი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების თანამშრომელთა მონაწილეობით.

## 112-ის მომსახურება ფასიანი იქნება




ახალი სამსახურის–„112“-ის მომსახურება ფასიანი იქნება. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის–„112“-ის მომსახურების საფასურის, მისი განაკვეთისა და გადახდის წესი მთავრობამ უკვე დაამტკიცა . „112“-ის მომსახურების საფასურის გადამხდელები იქნებიან ფიქსირებული გეოგრაფიული ან არაგეოგრაფიული ზონის და მობილური სატელეფონო მომსახურების მიმღები აბონენტები. „112“ის მომსახურების საფასური დღგ-ს ჩათვლით შემდეგი ოდენობის იქნება: ფიქსირებული გეოგრაფიული და არაგეოგრაფიული ზონის სააბონენტო ნომერზე ყოველ კალენდარულ თვეში, მიუხედავად აბონენტად გახდომის რიცხვისა: ფიზიკური პირისთვის–0.20 ლარი; იურიდიული პირის, ორგანიზაციის, დაწესებულებისთვის–0.50 ლარი. მობილური სატელეფონო მომსახურების მიმღები აბონენტებისთვის სააბონენტო ნომერზე ყოველ კალენდარულ თვეში, მიუხედავად აბონენტად გახდომის რიცხვისა: ფიზიკური პირისთვის–0.20 ლარი, იურიდიული პირის, ორგანიზაციის, დაწესებულებისთვის–0.50 ლარი. საფასური გადაიხდება თითოეულ სააბონენტო ნომერზე, რომელზეც კალენდარული თვის განმავლობაში ჯამში მოხდა 5 ლარზე მეტი ღირებულების მომსახურების შეძენა ან მომსახურებით სარგებლობა. „112“-ი.

## ტრენინგი სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების პედაგოგთათვის

ქალაქ ხობში ორი დღე მიმდინარეობდა ტრენინგი თემაზე – „თანამედროვე მიდგომები სკოლამდელ განათლებაში“, რომელსაც აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური დოქტორი-ი. ბალანჩივაძე წარმართავდა. ტრენინგში, რომელიც მოიცავდა სკოლამდელი ასაკის ბავშვის სწავლების მეთოდოლოგიასთან, სკოლამდელი დაწესებულების მართვასთან, აღმზრდელთა უფლება-მოვალეობებთან და პრაქტიკული მუშაობის სხვადასხვა სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებს, მონაწილეობდნენ ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების აღმზრდელები.

ტრენინგი ტარდება ორ ეტაპად და იანვრის ბოლოს მასში მონაწილეობას, აღმზრდელებთან ერთად სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების მთავარი სპეციალისტებიც მიიღებენ.

## გრიპის პრევენციასთან დაკავშირებული ღონისძიებები



„ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ ინფორმაციით, 2012 წლის იანვარ-თებერვალში მოსალოდნელია გრიპით და გრიპის მსგავსი დაავადებების მატება. ზემოთხსენებულ დაავადებებს ახასიათებს მკვეთრად გამოხატული მწვავე რესპირატორული და ნაწლავთა დაავადებებისათვის დამახასიათებელი სიმპტომები–მაღალი ტემპერატურა, ხველება, ხანგრძლივი დიარეა და სხვა კლინიკური ნიშნები.

პროფილაქტიკის მიზნით სასურველია, გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია, რომელიც ტარდება 6 თვის ასაკიდან. პირველ რიგში აცრა უნდა ჩაუტარდეს რისკ-ჯგუფებს, რომლებსაც მიეკუთვნებიან 2 წლამდე ბავშვები, ორსულები, 60 წელზე მეტი ასაკის და ქრონიკული დაავადების მქონე პირები.

გრიპის და გრიპის მსგავსი დაავადებების სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში მუნიციპალიტეტის მოსახლეობამ უნდა მიმართოს უახლოეს სამედიცინო დაწესებულებას სათანადო სამედიცინო დახმარების მისაღებად.

### სპორტი

## ხობელი მანუჩარ ცხადაიას გამარჯვება საჭიდაო სეზონის კლასიკური წერტილია



საქართველოს ჩემპიონატზე ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში ხობელმა მანუჩარ ცხადაიამ 74 კილოგრამ წონით კატეგორიაში პირველობა არავის დაუთმო, რის შედეგადაც საპატიო პირველი ადგილისა და საქართველოს ჩემპიონის ტიტულის მფლობელი გახდა. მანუჩარ ცხადაია საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების ერთადერთი წევრია, რომელმაც ვინც ლონდონის 2012 წლის ოლიმპიური თამაშების ლიცენზია მოიპოვა და მსოფლიოს წლევანდელი ჩემპიონატის კვარცხლბეკზე ავიდა.

## ნორჩი ხობელი მოჭადრაკე საქართველოს ჩემპიონი გახდა

თბილისის ჭადრაკის სასახლეში გამართულ თეიმურაზ ლომაიას მემორიალურ ტურ-



ნირზე, ჭადრაკში წარმატებით იასპარეზა „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ სასპორტო სკოლის ჭადრაკის წრის აღსაზრდელმა დიანა ლომაიამ (მწვრთნელი: ირაკლი გეთია) და 8 წლამდე გოგონათა შორის ჩემპიონის ტიტულს ერთი ტურით ადრე დაეუფლა.

## მადლობა მაჟორიტარ დეპუტატს

ოჯახში ჩვეულებრივად, ახალი წლის შესახვედრად ვემზადებოდით სასწაულის ნამდვილად არ მჯერა, მაგრამ ჩემს ჭიშკართან მანქანა, რომ გაჩერდა და ამანათით ხელში კაცი გამოჩნდა, ნამდვილად მოულოდნელი იყო.

მაჟორიტარი დეპუტატის მიეროს წარმომადგენელმა ბატონმა რევაზ წულაიამ მთელ ოჯახს მოგვილოცა დამდეგი ახალი წელი და მანვე გადმოგვცა ბატონი გოდერძი ბუკიას საახალწლო მილოცვა და საჩუქრები, რომელიც ძალიან ცევადი იყო. ასეთი საჩუქრებით ადრე განებივრებულები არ ვყოფილვართ, მართალი გითხრათ, გულის ფსკერი გამითბა, ვიგრძენი რომ ვიღაცას ჩვენც ვახსოვართ, ჩვენზე ზრუნავს.

მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადო ხობის მაჟორიტარ დეპუტატს საქართველოს პარლამენტში ბატონ გოდერძი ბუკიას გახსენებისათვის, დაფასებისათვის, მილოცვისა და საჩუქრებისათვის. მრავალი ნათელი ახალი წელი გაგითენოთ უფალმა ბატონო გოდერძი!

*ბორის თუთბერიძე,*
*სამამულო ომის ვეტერანი, სოფელი ბია.*

## „ახალო წელო, სამყარო უფრო გაალამაზე“

ზამთრისთვის უჩვეულო თბილი დღეა. ქარიატის საბავშვო ბაღში ჩვეული სითბო ტრიალებს–ზეიმია, საშობაო ზეიმი–„ახალი წელი ზღაპარქალაქში“.

ლამაზად მორთულან პატარები, ზღაპრის პერსონაჟები–ფერიები, წითელქუდა, კომბლე, მგელი, კურდღელი, ჯუჯები, მელია, ფიფქია თავს იწონებენ შესაფერისი კოსტიუმებით. ოცდარვა აღსაზრდელის გაბრწყინებული, ციმციმა თვალები პატარძალივით გამოწყობილ აბრიალებულ ნაძვის ხეს აღტაცებული შეჰყურებს.

ზეიმი დაიწყო.–შობა გათენებულაო, ქრისტე დაბადებულაო! „დღეს ყველა ნატვრა ნაძვის ხის ფერია“, „ალილო“, „ჩვენი მამულის კარიბჭესთან ახალმა წელმა შემოაბიჯა“, „დღეს მელიაც კი კეთილად მოიქცევა“... ახმოვანებდნენ პატარები.

„შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი“,–ილოცება ახალი წელი, ხოლო კეთილმა მეკვლემ კი ყველას ნატვრა ასე გამოხატა: „ერთად ვინატროთ, დამშვიდ-დაწყნარდეს მოუსვენარი ჩვენი სამყარო!..“

თოვლის ბაბუამ პატარებს სანუკვარი საჩუქრები ჩამოურიგა...

„დიდო ქვეყანავ, მშვიდობა თქვენდა,
იხაროს შენმა ფუძემ და ჭერმა.
გემატოს სიტკბო, ხვავი, ბარაქა,
ველარაფერი დაგვაკლოს მტერმა.“

ზეიმზე ლექსი, სიმღერა, ცეკვა ერთმანეთს ენაცვლებოდა... პატარებმა თავიანთი არტისტულობით, იმპროვიზაციის უნარით მოხიბლეს სტუმრები.

ქარიატის საბავშვო ბაღის კოლექტივი (მთავარი სპეციალისტი ნონა გიგიბერია, აღმზრდელ–მასწავლებელი მირანდა ღურჯია, აღმზრდელის თანაშემწე ნანა ჩხაიძე, მზარეული ინგა ბერაია) საოცარი გულისხმიერებით, პასუხისმგებლობით, მზრუნველობით, სიყვარულით ემსახურება მომავალი თაობის აღზრდის მნიშვნელოვან საქმეს.

ისინი ხშირად ჩუქნიან ჩვენს პატარებს ლამაზ დღეებს, რომელიც შემოქმედებითი მიდგომით გამორჩევა. ამიტომაც ყოველდღე მიუხარიათ აღსაზრდელებს მათთან, საყვარელ მირანდა მასწავლებელთან, იქ ხომ მათ განსაკუთრებულად ეფერებიან, თავს ევლებიან...

ქარიატის საბავშვო ბაღის აღსაზრდელები, მათი მშობლები მადლობას ვუხდით სკოლამდელ სააღმზრდელო გაერთიანებას (დირექტორი მანანა წულეისკირი), რომელსაც მხარში ყოველთვის საიმედოდ უდგას ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა, საკრებულო, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. ემადლიერებიან საახალწლოდ ხვავიანი, რჩეული საჩუქრებისათვის! გილოცავთ დამდეგ შობა–ახალ წელს, გაგიმრავლდეთ წარმატებები!

... ბავშვების ჟრიამული, ჟივილხივილი მოისმის ყოველდღე ქარიატის საბავშვო ბაღიდან, გამვლელგამომვლელს ესმის ეს ხმა და ძალაუნებურად ეუფლება ამაღლებული განწყობა–ეს ხმები ხომ სიცოცხლის, ხალისის, მომავლის, იმედის ხმებია!

ღმერთო, ნუ მოუშლი ამ მხიარული გოგო-ბიჭების ხმაურიან შეძახილებს ჩვენს პატარა, ლამაზ სოფელს!

***ნინო კიზირია–ჭიჭინაძე,***
***მშობელი.***



## მჯერა, წარმატებულნი ვიქნებით...



ახალი წელი ძალიან მიყვარს. დღეს, როცა თითქოს აღარ ვარ პატარა და თოვლის ბაბუასაგან საჩუქრებს გულისფანცქალით არ ველოდები, 31 დეკემბერს მაინც განსაკუთრებული განწყობით ვხვდები. იმ საღამოს ვიცი, რომ ჯადოსნური გახდება სამყარო, ზღაპარი მომიახლოვდება და ოცნება ამისრულდება. სასიამოვნო, საოცარი საათი, წუთი და წამი როცა დგება, საათის ისარი თორმეტს ჩამოჰკრავს, გავდივარ გარეთ, ხმაურითა და შეძახილებით ვხდები ახალი წლის მობრძანებას და ჰაერში ვისვრი პატარა ფეირვერკებს. მეზობლები ერთმანეთს გადასძახებენ, ულოცავენ, ბედნიერებასა და ღვთის წყალობას უსურვებენ ერთურთს. ირგვლივ ჟრიამული და ხალისია.

წელსაც არ დავარღვიეთ ტრადიცია. მითუმეტეს წელს დრაკონის წელია, მას კი უყვარს ენერგია, ფეირვერკები და სანახაობა. მჯერა, რომ ეს წელი ჩემი ოჯახისთვის, ჩემი ქალაქისა და ქვეყნისთვის იქნება წარმატებისა და წინსვლის წელი. დიახ, მე ეს ასე მინდა რომ ამიხდეს და უდაოდ ყველაფერი კარგად იქნება, ჩვენი ქვეყანა–საქართველო მართლა საოცრად ლამაზი შენდება, მთავარია, ჩვენ, ამ აღმშენებლობის ღირსეული მემკვიდრეები, ძლიერი და გაბრწყინებული საქართველოს შვილები აღმოვჩნდეთ.

გილოცავთ დამდეგი 2012 წლის დადგომას. მინდა, რომ ყველას გიყვარდეთ ერთმანეთი, გქონდეთ მიტევების, მოფერებისა და გაჭირვებულთა შეხიდების სურვილი, შეიყვაროთ უფალი და ილოცოთ საქართველოზე, ჩვენ კი გავიზრდებით თქვენს ნაკვალევზე და გპირდებით, არ შევრცხვებით, ვიქნებით წარმატებულნი და ამაყნი თქვენი შთამომავალობის გამო.

ჩვენთან არს ღმერთი! ამინ!

***ცოტნე გუჩუა,***
***ხობის №2 საჯარო სკოლის მოსწავლე.***

### საახალწლო ზეიმეზე...

## ისევ მოვიდა ახალი წელი



ახალი წლის მოახლოებას ნოჯიხევის №1 საბავშვო ბაღის (მთავარი სპეციალისტი მაია ცქირია) აღსაზრდელებიც დიდი სიხარულით ელოდებოდნენ. საახალწლო ზღაპრულ სამყაროში „დათოვლილი“ დარბაზი პატარების ჟრიამულმა აახმიანა, აღსაზრდელთა ამგვარ ამპლუაში გამოსვლა ერთგვარი დებიუტი იყო. მინდა ვთქვა, რომ ამ ღონისძიებას მათ თავი კარგად გაართვეს, ფერიების და სანტაკლაუსის ფორმებში გამოწყობილებმა ლამაზი სიმღერები შეასრულეს. სიმღერას ცეკვა ცვლიდა, ცეკვას–ლექსები. პატარები თავიანთი ნომრების მოლოდინში ღელავდნენ, მაგრამ მათი სახელის გაგონებისას თავი დიდებივით ეჭირათ. პაწაწინა ჯამბაზების გამოჩენამ დარბაზს უფრო მეტი სიხარული შემატა, იყო ბევრი ტაში, ოვაცია. ხელცარიელი არც თეთრ ჩოხაში გამოწყობილი თოვლის ბაბუა მოსულა. მან პატარებს საჩუქრებთან ერთად კარგად სწავლა, ბედნიერი ახალი წელი, მეგობრობა და დღეგრძელობა უსურვა. ზეიმს ტერიტორიული ორგანოს ნოჯიხევის რწმუნებული ბატონი აპოლონ ალექსანდრია და მთავრი სპეცილისტები ნანი ცხადაია და რუსუდან ალანია ესწრებოდნენ. ბატონმა აპოლონმა საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს საჩუქრად ხობის მაჟორიტარი დეპუტატის ბატონი გოდერძი ბუკიასაგან გამოგზავნილი ქართული ხალხური ზღაპრების წიგნი გადასცა და უსურვა, რომ „2012 წელი თითოეული აღსაზრდელისთვის ჯანმრთელობის და ნათელი მომავლის მომტანი ყოფილიყოს...“

საჩუქარს საჩუქარი შეენაცვლა. სკოლამდელთა სააღმზრდელო გაერთიანების დირექტორმა ქალბატონმა მანანა წულეისკირმა აღსაზრდელებს საახალწლო ნობათი გამოუგზავნა.

„გვჯერა, რომ 2012 წელი სიახლეების, უკეთესობისკენ ლტოლვით, ახალი ნოვაციების ხორცშესხმით იქნება გაჯერებული, რომელსაც დიდი მონდომებით გეგმავს გაერთიანების უფროსი ქალბატონი მანანა წულეისკირი,“–მადლიერების გრძნობით გვითხრა ქალბატონმა მაიამ.

## ზღაპრულ სამყაროში...

ახალი წლის თარიღს ყოველთვის დიდი სიხარულით აღნიშნავდნენ. ზოგადად ახალი წელი კარგი საშუალებაა „ძველის დასავიწყებლად და ახალი ცხოვრების დასაწყებად“ პირობითი ზღვარი რომ გაავლონ, ამიტომ ყველა ცდილობს, ახალი წლის დღეებში ცუდზე ნაკლებად იფიქრონ და თავი კარგად იგრძნონ.

გარდა ამისა, ახალი წელი ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი დღესასწაულია და მისი მთავარი ხიბლიც ისაა, რომ უკლებლივ ყველა ოჯახში აღინიშნება, არც სასწავლო–სააღმზრდელო დაწესებულებები ყოფილა გამონაკლისი.



ნოჯიხევის №2 საბავშვო ბაღის (მთავარი სპეციალისტი ნონა ალანია) პატარები მთელი თვე ემზადებოდნენ საახალწლო ზეიმისთვის, რომ თავი განსაკუთრებულად წარმოეჩინათ სტუმრების წინაშე. დარბაზში შესული მაყურებელი საუცხოო დეკორაციებით გაფორმებულ ზღაპრულ სამყაროში აღმოჩნდა.

შესაბამის ფორმებში გამოწყობილი პატარა ფიფქიები, მგელი, დათვი, მამალი, ნაძვის ხე, პატარა ჯუჯები, წითელქუდა მათთვის დამახასიათებელი გულწრფელობით ასრულებდნენ როლებს. მთელი არტისტიზმით ცდილობდნენ თავიანთი თავის წარმოჩენას, რამაც ახლი წლის ბრჭყვიალა დღესასწაულზე ყველა საზეიმო განწყობაზე დაგვაყენა...

ღონისძიება მართლაც გულში ჩამწვდომი, დასაფიქრებელი და ემოციურად დატვირთული იყო. მაყურებლის თვალზე მომდგარი ცრემლი, მქუხარე ტაში, ემოცია დასტური იყო იმისა, რომ პერსონაჟებმა თავიანთი სათქმელი ღირსეულად და დამაჯერებლად მიიტანეს მსმენელამდე...

ზეიმის ბოლოს, მაჟორიტარი დეპუტატის გოდერძი ბუკიას ბიუროს თავმჯდომარემ ბატონმა რევაზ წულაიამ საბავშვო ბაღს დეპუტატის საჩუქარი–ზრაპრების წიგნი გადასცა.

***მე კი ისღა დამრჩენია, მოგილოცოთ შობა-ახალი წელი და წარმატებები გისურვოთ, რომ ამ მზისქვეშეთში სულ ღიმილიანებს გევლოთ!***

***ნანა კემულარია.***

ს პ ო რ ტ ი

# მიხეილ იოსავას სახელობის ტურნირი ბილიარდში



ხობის მუნიციპალიტეტის ბილიარდის კლუბ „ბასაში“ ჩატარდა რუსული აგრესიის შედეგად ტრაგიკულად დაღუპული რეზერვისტის მიხეილ იოსავას სახელობის ტურნირი ბილიარდში. შეჯიბრება გაიმართა როგორც ახალგაზრდებში, ასევე დიდებში. რამდენიმე დღე ბილიარდის კლუბში ხალხმრავალობა იყო. მეტად საინტერესო და დაძაბული ორთაბრძოლები გაიმართა.

ახალგაზრდებში ტურნირის ღირსეული ჩემპიონი გახდა თემურ სირაძე, რომელიც პირველი ადგილისთვის განკუთვნილი თასით, ხატითა და სიგელით დაჯილდოვდა.

მეორე ადგილზე გავიდა ფრიდონ გამისონია, რომელიც დაჯილდოებულიქნა მეორე ადგილისთვის განკუთვნილი თასით, ხატითა და სიგელით.

მესამე ადგილი ერგო ლუკა ლოლუას, რომელიც ასევე დაჯილდოვდა მესამე ადგილსითვის განკუთვნილი თასით, ხატითა და სიგელით.

ასევე დაჯილდოვდნენ ტურნირის მონაწილე პერსპექტიული მობილიარდეები, ბექა ქაქუთია, ლევან ჩარგაზია, გოგა შურღაია, ირაკლი არქანია, ნიკოლოზ ჩიტაია, ლუკა სერგია, ედიკა კვიკვინია, ირაკლი ცხადაია, ირაკლი ლომაია, ნიკა კვირტია, ოთარ კორტავა, გოგა კაცაძე, გიორგი ზარანდია და სხვაები.

პირველობაზე უფროსი ასაკის 32 მობილიარდე იღებდა მონაწილეობას.

პირველი ადგილის და მიხეილ იოსავას სახელობის თასის მფლობელი გახდა კარლო ჩაჩიბაია, რომელიც დაჯილდოვდა ამ ადგილისთვის განკუთვნილი თსით, ხატით და სიგელით.

მეორე ადგილზე გავიდა წინა შეჯიბრების ორგზის გამარჯვებული გოჩა კიზირია, რომელიც დაჯილდოებულიქნა მეორე ადგილისთვის განკუთვნილი თასით, ხატითა და სიგელით.



მესამე ადგილი დაიკავა ლაშა კვაშილავამ, რომელიც ასევე დაჯილდოვდა შესაბამისი თასით, ხატითა და სიგელით.

ყველაზე ახალგაზრდა მონაწილის პრიზი ლუკა ლოლუას, ხოლო ყველაზე უხუცესი მობილიარდის პრიზი ანზორ გვათუას გადაეცათ. პრიზი გადაეცა ასევე ერთ-ერთ აქტიურ მონაწილეს ვახტანგ ცხადაიას.

შეჯიბრება ორგანიზებული და დაფინანსებული იყო ხობის მუნიციპალიტეტის „განათლების“ ცენტრის (დირექტორი ხათუნა ხორავა) მიერ, დიდებში–ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ. ასევე პრიზები დააწესეს და ტურნირს სპონსორობა გაუწიეს მიხეილ იოსავას ოჯახმა, საქართველოს პარლამენტის წევრის ხობის მაჟორიტარი დეპუტატის გოდერძი ბუკიას ბიურომ. ბილიარდის კლუბმა, ერთიანი ნაციონალური მოძარაობის რაიონულმა ორგანიზაციამ. პიროვნებებმა ნუკრი წოწონავამ, კოტე მხეიძემ, სანდრო პაპავამ, კორნელი გოგენიამ, ბეჟან ნადარაიამ და სხვებმა.

დაჯილდოებისას ტურნირის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს მიშიკოს ხსოვნას, რომელსაც 25 წელი შეუსრულდა. დაჯილდოების შემდეგ ორგანიზატორებმა, ტურნირის მონაწილეებმა, გულშემატკივრებმა და მეგობრებმა ყვავილებით სეამკეს მიშიკოს საფლავი და კიდევ ერთხელ მოიგონეს ახალგაზრდა ვაჟკაცი.

# ბერძნულ რომაული ჭიდაობა

ხობის მუნიციპალიტეტის საჭიდაო დარბაზში ჩატარდა ხობის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების პირველობა ბერძნულ რომაულ ჭიდაობაში. აღსანიშნავია, რომ ამ სახეობაში მუნიციპალიტეტს ჰყავს მრავალი წარმატებული სპორტსმენი. განსაკუთრებული ადგილი კი მანუჩარ ცხადაიას უკავია, რომელმაც ორჯერ მსოფლიო ვიცე–ჩემპიონობა მოიპოვა, ერთხელ ევროპის მესამე პრიზიორი გახდა და მრავალი საერთაშორისო ტურნირების ჩემპიონია.

შეჯიბრების მიმდინარეობისას გამოჩნდნენ ნორჩი მოჭიდავეები, რომლებიც ალბათ მალე





გაუყვებიან მანუჩარის კვალს და ასახელებენ ხობის მუნიციპალიტეტსა და სრულიად საქართველოს.

თავიანთი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს:

26 კგ. წონით კატეგორიაში;

1. თორნიკე ბუკია (ხობის №2 საჯარო სკოლა).

30 კგ. წონით კატეგორიაში;

1. ნუგზარ წურწუმია (ნოჯიხევის საჯარო სკოლა)

35 კგ. წონით კატეგორიაში;

1. ნიკა ყორშია (ხობის №2 საჯარო სკოლა).

40 კგ. წონით კატეგორიაში;

1. დავით საჯაია (ქვ. ქვალონის საჯა სკოლა)

46 კგ. წონით კატეგორიაში;

1. ვარლამ კვარაცხელია (შუა ხორგფის საჯარო სკოლა) 52 კგ

1. ოთარ კორტავა (ხობის №1 საჯარო სკოლა)

60 კგ. წინით კატეგორიაში;

1. ბაკურ შენგელია (ხობის №1 საჯარო სკოლა).

ჩემპიონები და პრიზიორები პრიზებითა და სიგელებით დაჯილდოვდნენ.

შეჯიბრება დაფინანსებული იყო ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ.

***ლევან ლემონჯავა.***

გამოსათხოვარი

# მინდა უფალს თქვენი სულები შევავედრო

თქვენთან ბავშვობის ულამაზესი წლები მაკავშირებდა. მეზობლებიც ვიყავით და ვმეგობრობდით კიდევაც. ერთურთი ძალიან გვიყვარდა. სკოლის ბოლო წლებში სხვა ქალაქში გადავედი სასწავლებლად, მაგრამ აქ ჩამოსულს ყოველთვის თბილად და მეგობრულად მხვდებოდით. წლები თითოეულ თქვენთაგანზე ბედნიერი თუ ტკივილიანი მოგონებებით გაილია. ბოლოს კი თითქმის არცერთი შემომრჩით. გულსატკენია, რომ ბონდო ნანეიშვილი, რუსიკო კალანდია, ველოდ ალექსანდრია და ახლა კი მოგელ სოსელია წავიდა ამ ქვეყნიდან და მარადისობას შეუერთდნენ.

მინდა ცხარე ცრემლითა და ტკივილიანი გულით მოგიგონოთ და მოგესიყვარულოთ ჩემო ბავშვობის მეგობრებო. თითოეულის ადამიანურ ღირსებაზე, თითოეულის სიკეთით ჩადენილ ქველმოქმედებაზე, როცა რამეს ვიგებდი, გული სიამაყით მევსებოდა, მიხაროდა, რომ ასეთი კარგები იყავით...

მინდა უფალს შევავედრო თქვენი სულები და ჩემმა ლოცვამ და თქვენს სახელზე დანთებულმა წმინდა სანთლებმა მარადისობის გზა გაგინათოთ.

***დოდო კილასონია.***

*ქ. ბორჯომი*

# რამის კემულარია

ჩვენო ტკივილადქცეულო მამიკო, არ ვიცით როგორ დავიწყოთ, რა ვთქვათ, ძალიან გვიძნელდება შენზე წარსულ დროში საუბარი. მალე წელიწადი შესრულდება, რაც ჩვენთან აღარ ხარ. ძალიან გვიჭირს უშენობა. ტკივილით, ცრემლით, დარდით გადის ეს დღეები, გვაკლია შენი სითბო, მზრუნველობა, მოფერება, რომელსაც ვერავინ და ვერაფერი შეგვიცვლის... შენ ისევ ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი ხარ მამა.

11 იანვარს შენი დაბადების დღეა, ამ დღეს 65 წელი შეგისრულდებოდა, გულსატკენია, რომ შენს დაბადების დღეს წელს უშენოდ შევხვდით. ვიცით, ეს დღე როგორ ძალიან გიყვარდა და მას ყოველთვის მეგობრების წრეში აღნიშნავდი, მაგრამ, სამწუხაროდ, წელს შენს საფლავთან მოგვიწია მისმა აღნიშვნამ.

მამა, კიდევ ერთხელ სიყვარულით



გილოცავთ დაბადების დღეს, როგორც ყოველთვის, ახლაც დაგინთეთ სანთლები, უფალს შევთხოვეთ, რომ შენი სიყვარულით სავსე სული ნათელში ამყოფოს და ცათა სასუფეველი დაგიმკვიდროს.

გჯეროდეს, შენს სახელს არასოდეს დავივიწყებთ, მუდამ ვილოცებთ შენი ლამაზი სულისთვის.

გვიყვარხარ და გვენატრები!

***ნინო, ნანა, მანანა.***

# გურამ გვალია

ტკივილიანი, დარდიანი, ცრემლიანი ორმოცი დღე გავატარეთ უშენოდ. მოგვენატრე და ამ მონატრებას უსასრულობა ჰქვია, გვჯერა, რომ შენ უფრო გენატრებით, რადგან სამუდამოდ გამოგვემშვიდობე, ყველანი გადაგვკოცნე, შემდეგ შორეთში მომზირალი თვალებითა და გაფითრებული ბაგეებით ნახევარი საათი სთხოვე ჩვენთვის უხილავს. გინდოდა შვილი და შვილიშვილიც ჩაგეკოცნა, მაგრამ არ დაგცალდა, დრო შენს ნება-სურვილს არ დაემორჩილა, სანუკვარი ადამიანები უნახავი დაგრჩა, მაგრამ იმედია პატარა ირაკლის დღეგრძელობის დასტურად, ოჯახს მფარველად მოევლინები.

უღალატო პიროვნება, უსაყვარლესი ბაბუა, საოცნებო მამა, სანაქებო შვილი, ერთგული მეუღლე, არაჩვეულებრივი მამამთილი, სანუკვარი ძმა, დაუვიწყარი ბიძა, თავდადებული მეგობარი, სასურველი მეზობელი გამოგვეცალე ხელიდან.



ჩვენთვის მარადსახსოვარი ხარ და ღმერთს შევთხოვთ, მოგვცეს გაძლება მარადიული მონატრებისა.

შენ, გულზე ჯვართან ერთად, ხისგან, შენივე ხელით გამოკვეთილი, საქართველოს მაკეტი გესვენა. მტკიცედ იდექი გულანთებულ მამულიშვილთა რიგებში. შენ იყავი ქართველი კაცი წესით და ადათით. ამიერიდან ზეციური საუფლოდან დაიფარავ საქართველოს!

ღმერთმა გაცხონოს და დაგამკვიდროს ღვთიურ საუფლოში!

***ოჯახი.***

# ძაბული უბილავა



უშენოდ მოვიდა შენი დაბადების დღე დედიკო! 4 თებერვალს 80 წელი შეგისრულდებოდა. ნეტავ იცოდე, როგორ მენატრები. მშვიდად წახვედი სამუდამო სასუფეველში შენს თანამეცხედრესთან. სიყვარულით გიგონებთ კეთილ და საყვარელ მშობლებს შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები. გჯეროდეთ, მუდმივად იქნებით ჩვენს გვერდით, ჩვენს ხსოვნაში.

თქვენს საფლავზე მისვლა მარტო გახსენება კი არა, უმძიმესი დარდია, რომელსაც ვერანაირი დრო ვერ განკურნავს. გპირდებით, თქვენს საფლავს არასოდეს მოაკლდება ყვავილები, ხოლო სასუფევლისკენ მიმავალ გზას მუდამ გაგინათებთ ჩვენს მიერ დანთებული წმინდა სანთლები.

***რუსუდან უბილავა.***

# ხობი ახალი წლის ღამეს...









ირაკლი შონიას ფოტოები

## იქ დაიბადნენ, აქ იზრდებიან...

ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულები არიან ეს პატარა ნაბდიან–ფაფახიანი პატარები–ტყუპები გიორგი და ლუკა მუმლაძეები. თუმცა მათ, ასობით ქართველი ბავშვების ბედ–იღბალი გაიზიარეს და დაბადებამ საქართველოდან შორს, ამერიკაში მოუწიათ. მაგრამ საამაყო აქვთ, რომ ეს ბიჭები მშობლებთან მოშორებით ისევ თავიანთ ქვეყანაში და საყვარელ ქალაქში იზრდებიან, სწავლობენ და ქართველებად ყალიბდებიან.

თბილისი მათი სათაყვანო ადგილია. მესამე კლასელი ბიჭუნები თავს აქ ბედნიერად თვლიან. პატარებს რომ ჰკითხოთ, ამერიკა და თბილისი მშობლიური ქვეყნებია–იქ დაიბადნენ, აქ იზრდებიან...



გიორგის და ლუკას ბებია-ბაბუები ხობელები გახლდნენ. ხობელი თამუნა სახეიშვილი და ჭალადიდელი ოთარ მუმლაძე ადრე დაქორწინდნენ. ცოტა ხანი ჭალადიდში იცხოვრეს, შემდეგ ფოთში გადაინაცვლეს. მათი შვილი ტომსი მუმლაძე ნინო ხელაძეზე დაქორწინდა. დრომ მოიტანა და ახალგაზრდებმა ამერიკაში დაივანეს. იქ დაიბადნენ მათი ტყუპი ვაჟები, ამჟერად მშობლები კვლავ ამერიკაში არიან, შვილები კი თბილისში.

ზამთრის არდადეგებზე პატარებმა მშობლების მონახულების სურვილით თავიანთ მეორე სამშობლოში გამგზავრება გადაწყვიტეს. ისინი ხომ იმ ქვეყნის მოქალაქეებიც არიან და... სურვილიც დაიკმაყოფილეს.

მშობლების სიყვარულით გაცისკროვნებული პატარები მალე თბილისში ჩამოვლენ და დროებით დაშორებულ საყვარელ სკოლას, მეგობრებს, თანატოლებს, მასწავლებლებს მონატრებით შეხვდებიან და ჩვეულებრივად გააგრძელებენ თავიანთ ცხოვრებას.

ეს სურათი რედაქციაში მათმა დიდედამ ლარისა სახეიშვილმა მოგვიტანა და თავისი შვილთაშვილების დანაბარები გადმოგვცა–„სიყვარულით გილოცავთ ხობელებო, ჩემო ბებიებო და სრულიად საქართველო ახალი წლის მობრძანებას. ფეხბედნიერი ყოფილიყოს ეს წელი თითოეული ქართველისათვის, გვიყვარხართ!..

ჩვენც ვუერთდებით მათ სურვილებს და ახალი წელს ვულოცავთ გიორგისა და ლუკას, მათ მშობლებსა და ყველა ქართველს, რომლებიც საქართველოდან შორს ცხოვრობენ და აქ, საქართველოში დაბრუნების სურვილით აღამ-ათენებენ.

**ნანი კილასონია**


გამოიწერეთ გაზეთი „ხობის მოამბე!“



ერთი წლით, მხოლოდ 17 ლარად!



დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“

სარედაქციო კოლეგია: თავმჯდომარე შ.პ.ს. „ხობის მოამბეს“ დირექტორი–მერი ლაგვილავა.

თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე–ნანი კილასონია.

რედაქტორი–მანანა შულაია.

ჟურნალისტები–ნანა კემულარია, ნინო გერგაია, რეკლამისა და მარკეტინგის მენეჯერი ლაშა ცატავა.

კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბეში.“
მის: ხობი, წმინდა ნინოს ქუჩა №1 ტელ: 8 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილ მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.